ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 16 თებერვალი, 2018 №39 (7584) ფასი: 50 თეთრი

## „კალაძეზე სერიოზული შეტევა დაიწყება“



კახა კუკავა: „ივანიშვილის მიზანი ოპოზიციის დანაწევრებაა“

გვ.4

16 თებერვლიდან

შორენა ლებანიძე

ეს მე ვარ, ფიროსმანი



ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

# „საქართველოში ადამიანის სიცოცხლე 50-დან 1.200 ლარამდე ღირს“



ლაშა ჩხარტიშვილი: „სასიკვდილო შრომის კუთხით საქართველო მსოფლიო რეიტინგში მოწინავე პოზიციებზეა“

გვ.2



## აფხაზეთი რევოლუციას გადაურჩა?

გვ.5





## აფხაზეთის ჰიმნის ავტორი პედოფილი აღმოჩნდა

გვ.3

## „სააკაშვილს უნდოდა, ქართველი სამხედროები პოროშენკოს წინააღმდეგ გამოეყენებინა“

გვ.5





გვ.3

ლია მუხაშავრია: „თუ ახალ უწყებას დევნის ფუნქცია არ ექნება, მაშინ ეს თვალში ნაცრის შეყრას დაემსგავსება“

## სამართალი

გვ.7



ქუთაისის №2 სამშობიარო სახლის დაკავებული დირექტორის საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში გაგრძელდება



ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში სუნელების დამზადებისთვის ერთი მეწარმე პასუხისგებაში მიეცა




თბილისში ახალგაზრდა კაცი საცხოვრებელი კორპუსის სახურავიდან გადმოხტა და გარდაიცვალა

## ეკონომიკა

გვ.6

სავალუტო ფონდის რეკომენდაციები, რომლებიც საქართველოში ცხოვრების დონეს გააუმჯობესებს






გაძვირდება თუ არა სამშენებლო ნებართვების წესში შესატანი ცვლილებები უძრავ ქონებას

238.563 მოქალაქე მოვალეთა რეესტრში მოსახლეობის 6%-ს საკუთარი ქონების განკარგვა აღარ შეუძლია





საარსებო მინიმუმი 1.5 ლარით გაიზარდა

ISSN 1987-9385

**4** ექიმების კვალიფიკაცია და განათლების ხარისხი პაციენტებისათვის საფრთხედ იქცა

**7** ღოღო გუგეშაშვილი: „მალხაზ მაჩალიკაშვილი ჩემი ძმა და ჭირისუფალია, ისევე, როგორც მისი ჭირისუფალი მე ვარ“

**3** 83-მილიონიანი მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ იატაკი დაზიანდა

**7** „როსტომაშვილი ჩემს შვილს ციხეში სცემდა და ფიზიკურად სწორედ ამიტომ გაუსწორდა“

# „საქართველოში ადამიანის სიცოცხლე 50-დან 1.200 ლარამდე ღირს“

შორენა მარსაგიშვილი

## ლაშა ჩხარტიშვილი: „სასიკვდილო შრომის კუთხით საქართველო მსოფლიო რეიტინგში მოწინავე პოზიციებზეა“



**რა ხდება მშენებლობებზე, რატომ არ ზრუნავს ხელისუფლება თავისი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე, რატომ არის საშიში გამწარებული ხალხი, რა პრობლემები შეექმნება „ქართულ ოცნებას"? – ამის შესახებ „ახალ თაობას" უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი ესაუბრება.**

**ლაშა ჩხარტიშვილი:**
– საქართველოში, სამწუხაროდ, გრძელდება სურამის ციხის ტრაგიკული ისტორია – ყველა კორპუსს ერთი მუშა მაინც უნდა ჩაატანონ. მაღაროებში კი თვეში 2 ადამიანი მაინც უნდა დაიღუპოს.

ჩვენ დღეს მე-19 საუკუნის კოლონიალური აფრიკის რეალობაში ვცხოვრობთ. დღეს საქართველო ბიძინისტანის სიმინდის რესპუბლიკაა, სადაც ადამიანის სიცოცხლე 50-დან 1.200 ლარამდე ღირს.

***– რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, ადამიანის სიცოცხლე 50-დან 1.200 ლარამდე ღირსო?***

– რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ასეთი ჯარიმის დაწესებას აპირებენ, თუ მშენებლობაზე ადამიანი დაიღუპება. ამ ცვლილებებზე ძალიან ბევრს საუბრობენ და იმასაც კი ცდილობენ, რომ იამაყონ. არადა, ეს ცვლილებები არასრულფასოვანია. სწორედ ამის გასაპროტესტებლად გავმართეთ 14 თებერვალს აქცია.

საქართველოს დღემდე არა ჰყავს მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც დაიცავდა ადამიანის სიცოცხლეს სამუშაო ადგილზე, იქნებოდა ეს მშენებლობა, მაღარო თუ სხვა ადგილი.

დღესდღეობით ბიზნესმენთა სინდისზეა მთლიანად დამოკიდებული დასაქმებულების უსაფრთხოება. მათ სინდისზეა დამოკიდებული, რომელ კორპუსს რამდენ მუშას ჩაატანენ. საუბრის ცალკე თემაა, როგორ შენდება ეს კორპუსები. ისინიც არანაკლებ საფრთხეს შეიცავენ.

შესაბამისად, აუცილებელია ისეთი ორგანოს არსებობა, რომელსაც ექნება ამა თუ იმ ობიექტის გაუფრთხილებლად შემოწმების უფლება. ამავე ორგანოს უნდა შეეძლოს მკაცრი სანქციების გაცემა.

***– მკაცრ სანქციებში რას გულისხმობთ?***

– პირველ რიგში, ფინანსური სანქციების გაცემის უფლებას. ფინანსური სანქცია უნდა იყოს ძალიან მკაცრი. კარგი იქნება, თუ ამ საქმეებზე სისხლის სამართლის საქმეებიც აღიძვრება და საქმეში პროკურატურა ჩაერთვება. მხოლოდ სამოქალაქო სასჯელი საკმარისი არ არის. გასაძლიერებელია ტექნიკური ინსპექციაც.

ეს მექანიზმები თუ არ ამოქმედდა, ჩვენ თავს ვერ დავაღწევთ სამარცხვინო და ტრაგიკულ რეალობას. სასიკვდილო შრომის კუთხით საქართველო მსოფლიო რეიტინგში მოწინავე პოზიციებზეა.

საქართველოში ძალიან მაღალია სამუშაო ადგილებზე მსხვერპლის მაჩვენებელი. გასულ წელს, ჯამურად, 1.209 ადამიანი დასახიჩრდა და დაიღუპა სამუშაო ადგილზე.

***– გარდაცვალების მაჩვენებელი როგორია?***

– ძალიან მაღალი. მხოლოდ მყისიერად, ადგილზე, წელიწადში 60-70 ადამიანი იღუპება. ამას ემატება სხვადასხვა საწარმოო ტრავმის შედეგად დაღუპულთა რიცხვი. სამწუხაროდ, ამას არავინ აღრიცხავს.



არ უნდა დაგვავიწყდეს ის ადამიანები, რომლებსაც ჯანმრთელობისთვის საშიშ გარემოში უწევთ მუშაობა. ასეთ გარემოში მუშაობა დროში გახანგრძლივებულ სიკვდილს იწვევს.

სამუშაო პირობების კუთხით აუტანელი და საშინელი მდგომარეობაა. ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მონურ პირობებში მუშაობს და ასე ცდილობს თავის გადარჩენას.

ტრაგიკული შემთხვევები ძირითადად მშენებლობებსა და მაღაროებში ხდება, მაგრამ სხვა ადგილებზეც არანაკლებ მძიმე ვითარებაა.

იმედი მაქვს, რომ საზოგადოება ამ მიმართულებით უფრო გააქტიურდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანებს კიდევ დიდხანს მოუწევთ მონურ პირობებში მუშაობა და სამუშაო ადგილებზე ტრაგიკული შემთხვევებიც არ შემცირდება.

***– ამბობთ, რომ საზოგადოების გააქტიურების იმედი გაქვთ. 14 თებერვალს გამართულ აქციაზე საზოგადოების აქტიურობა არ შეინიშნებოდა.***

– სამწუხაროდ, ასეა. ამ აქციაზე ძირითადად სტუდენტები აქტიურობდნენ და დიდი მადლობა მათ ამისთვის. საქართველოში ძალიან ცოტაა ორგანიზაცია, რომლებიც იმაზე ზრუნავენ, რომ ადამიანები კაპიკების გამო სამუშაო ადგილებზე არ დაიხოცონ.

***– უსაფრთხო შრომაზე არანაკლებ პრობლემური შეიძლება გახდეს ტაქსისტების პრობლემა. დედაქალაქის მერიამ ახლახან გვამცნო, რომ ტაქსების რეგისტრაციას იწყებენ და ის ფასიანი იქნება.***

– ტაქსებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ადრეც ვისაუბრე და, სამწუხაროდ, მართლდება ის, რაც მაშინ ვთქვი. მაშინაც ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, რომ ხელისუფლებას საერთოდ არ აინტერესებს მგზავრების კომფორტი. სინამდვილეში, ისინი ცდილობენ, მაქსიმალურად შეზღუდონ ადამიანების ჩართულობა ტაქსით მომსახურების სფეროში.

ხალხზე ზრუნვის საბაბით ხელისუფლება ცდილობს, ამ სფეროში თავისი ინტერესები გააფართოოს. აშკარაა, რომ აღნიშნული ინიციატივა ოლიგოპოლიების გაძლიერებას ემსახურება.

საინტერესოა ისიც, რომ ტაქსების რეგისტრაცია ფასიანი იქნება და მერია მისი საფასურის დასახელებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

მოდით, მარტივად გეტყვით, რაც ხდება – ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ბაზრიდან კერძო ტაქსები გააძევოს. ამ ბაზარს რამდენიმე კომპანია დაიკავებს. ეს კომპანიები, ბუნებრივია, ხელისუფლების წარმომადგენლების იქნება. კითხვები რომ არ გაჩნდეს, მათ წარმატებით გააფორმებენ პენსიონერ მამაზე, მშრომელ ბაბუაზე.

მამები პრემიერსა და დეპუტატ შვილებს თუ ჩუქნიან 50.000 და 100.000 დოლარებს, რა გასაკვირია, რომ მათ ტაქსების კომპანიებიც ჰქონდეთ.

ტაქსების მიმართ თავის დროზე სააკაშვილსაც ჰქონდა შეტევა. ის თბილისის აეროპორტში დარბოდა და ყვიროდა, ტაქსისტებმა პირი უნდა გაიპარსონო. ეს ყვირილი იმით დამთავრდა, რომ აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე დგომის უფლება მხოლოდ ერთი კომპანიის ტაქსებს მისცეს, სხვები გააძევეს.

ასევე კარგად გვახსოვს იუსტიციის სახლთან ახალი ტაქსების გამოჩენა. ეს იყო თეა წულუკიანისა და ხელისუფლების უცნაური ინიციატივა. იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიიდან კერძო ტაქსები გააძევეს და იქ ხელისუფლების ტაქსები დააყენეს, რაც, თავის მხრივ, სერიოზული მარაზმია. მთელი მსოფლიო თანხმდება იმაზე, რომ თავად სახელმწიფო ეკონომიკურ საქმიანობას არ უნდა ეწეოდეს. ასეთი რამე მხოლოდ იშვიათი გამონაკლისების დროს ხდება.

მსოფლიოში ალბათ ვერ დამისახელებთ ვერცერთ ქვეყანას, სადაც ხელისუფლება თავად ტაქსაობს, ჩვენთან კი იქამდე მივიდნენ, რომ იუსტიციის სახლმა თავად დაიწყო ტაქსაობა.

***– ამ პრაქტიკის გათვალისწინებით, მერიაც ხომ არ შექმნის თავისი ტაქსების კომპანიას?***

– არა, თბილისის მერია თავად არ გააკეთებს ასეთ კომპანიას, მაგრამ მათ, როგორც ამბობენ, უკვე შერჩეული ჰყავთ რამდენიმე კომპანია.

***– ვის ეკუთვნის ეს კომპანიები?***

– მათი მფლობელები ბიძინა ივანიშვილთან არიან მჭიდროდ დაკავშირებული. ამ კომპანიებს იმით გააძლიერებენ, რომ კონკურენტებს მოაშორებენ. საერთოდ არ ადარდებთ ის ფაქტი, რომ ადამიანებს პირიდან ბოლო ლუკმას აცლიან და მათ შიმშილობა ემუქრებათ. ასეთ მძიმე დღეში ათეულობით ათასი ადამიანი აღმოჩნდება.

ჩვენს მოსახლეობას ზღაპრების აღარ სჯერა, მაგრამ მაინც მინდა, მათ ვუთხრა, რომ ტაქსების რეგისტრაცია კარგ შედეგს არ მოიტანს. პირველ რიგში, გაიზრდება ტაქსით მომსახურების ტარიფი. სადაც ნაკლები კონკურენციაა, იქ ფასი ყოველთვის იმატებს.

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების თუ ვინმეს სჯერა, მათ ვურჩევ, სამარშრუტო ტაქსებთან დაკავშირებული მაგალითი გაიხსენონ. თავის დროზე ამ ბაზარზეც ერთი მოთამაშე შემოიყვანეს, უკეთესი მომსახურების საბაბით საფასურიც გაზარდეს. როგორ გაიზარდა მომსახურების ხარისხი, ყველა ამჩნევს. ხალხს ისევ იმ საშინელ პირობებში უწევს მგზავრობა. განსხვავება ის არის, რომ გაძვირებულ საფასურს იხდიან.

ცნობილი ხდება, რომ ხელისუფლება ტურიზმის სფეროშიც აპირებს ხელების ფათურს. სააკაშვილსაც და „ქართულ ოცნებასაც“ თავის დროზე ძალიან მაღალ თანამდებობებზე ვუთხარი უარი. ახლა მე ტურიზმით ვარ დაკავებული და კარგად ვიცი, აქ რა ხდება.

ვფიქრობ, ხელისუფლებას ამ სფეროში შეიძლება იგივე ინტერესები ჰქონდეს, რაც ტაქსებთან დაკავშირებით ხდება. მათ სხვა მიზანი რომ ამოძრავებდეთ, სხვა გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. ამ მიმართულებით გაცილებით საინტერესო რამის გაკეთება შეიძლება.

***– რის გაკეთება შეიძლება?***

– პირველ რიგში, დაიცვან საკუთარი მოქალაქეები. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უნდა შეეზღუდოთ ტურისტული მომსახურება. ამის გაკეთება ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოში ძალიან ბევრი უცხო ქვეყნის მოქალაქე ახორციელებს ტურისტულ მომსახურებას.

აშკარაა, რომ ხელისუფლებას ამ მიმართულებითაც მსხვილი კომპანიების გაძლიერება სურს. ეს თუ გაბედეს, ამას მომენტალურად მოჰყვება ფასების ზრდა, რაც ტურიზმის კუთხით ქვეყანაში მდგომარეობას გააუარესებს.

დღეს საქართველოში უცხოელებთან მიმართებით ტურიზმი საკმაოდ ძვირია. ეს იმით არის გამოწვეული, რომ კონკურენცია დაბალია და, ამ სფეროში წვრილ მოთამაშეებს თუ გაანადგურებენ, ფასები კიდევ უფრო გაიზრდება. ფასების ზრდა კი ტურისტებს დაგვაკარგვინებს. ასევე შიდა ტურიზმსაც შეექმნება პრობლემები. სერიოზულ დარტყმას მიიღებს ის ხალხი, რომელიც ამ ბიზნესშია ჩართული.

***– ხელისუფლება ვერ აცნობიერებს, რომ ამდენი ადამიანის ულუკმაპუროდ დატოვება თავად მას შეუქმნის პრობლემას?***

– ხელისუფლებაში როცა მოდიან, ავიწყდებათ, რომ ამ ქვეყნად მუდმივი და უსასრულო არაფერია. ყველას კარგად გვახსოვს, მიხეილ სააკაშვილი 40 წელი აპირებდა ხელისუფლებაში ყოფნას და ამ ქვეყნის მართვას. ივანიშვილს 2030 წლამდე უნდა ამ ქვეყნის მართვა.

აშკარაა, რომ ამათ ავიწყდებათ, სად ცხოვრობენ და ვისთან აქვთ საქმე. ახლა საზოგადოება პასიურია, მაგრამ აგრესია და წინააღმდეგობა გროვდება. არსებობს ორთქლის პრინციპი. თუ ქვაბს, სადაც ორთქლია, სახურავს დაახურავ, ის ორთქლი საიდანღაც ამოხეთქავს. ასე იქნება ჩვენს შემთხვევაშიც. ხალხში დაგროვილი უკმაყოფილება ადრე თუ გვიან ამოხეთქავს. მგონია, რომ ეს ბევრად ადრე იქნება, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. მეტის გაძლება უკვე შეუძლებელია – ხელისუფლება ადამიანებს ბოლო ლუკმას აცლის პირიდან.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები: ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნინო კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლია მუხაშავრია: „თუ ახალ უწყებას დევნის ფუნქცია არ ექნება, მაშინ ეს თვალში ნაცრის შეყრას დაემსგავსება“

ნათია ხურცილავა



**ადამიანის უფლებადამცველი, ადვოკატი ლია მუხაშავრია, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მთავრობის იმ ინიციატივაზე საუბრობს, რომელიც სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლების მიერ შესაძლო დანაშაულის გამოძიების მიზნით დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნას გულისხმობს.**

***– ქალბატონო ლია, მთავრობამ დაამტკიცა საკანონმდებლო პაკეტი, რომლის მიხედვითაც შეიქმნება სახელმწიფო ინსპექტირების სამსახური, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩადენილ დანაშაულს გამოიძიებს. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია, რომ მართლაც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი უწყება შეიქმნას, თუ ფიქრობთ, რომ ეს ფუნქციები უკვე აქვს შსს-სა და პროკურატურას და დუბლირება საჭირო არ არის?***

– პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კი აქვს გამოძიების ფუნქცია, მაგრამ ჩვენ აღებული გვაქვს საერთაშორისო ვალდებულება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით, რომლის მიხედვითაც, სამართალდამცავი უწყებების მიერ ჩადენილ დანაშაულზე გამოძიება უნდა იყოს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი. სწორედ ამიტომ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიება ვერ ჩაითვლება მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ გამოძიებად. ეს უწყებები ამ შემთხვევაში თავად წარმოადგენენ სამართალდამცავ უწყებებს და აქ სავსებით ლოგიკურია, ინტერესთა კონფლიქტი დადგეს. ხომ გაგიგიათ, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო! ამიტომ ეს საერთაშორისო ვალდებულება დიდი ხანია გვეკისრება და ამაზე არაერთხელ მიუთითა სახალხო დამცველმაც მთავრობას, რომ მათ ეს ნაბიჯი გადაედგათ და ეზრუნათ ახალი, დამოუკიდებელი და მართლაც მიუკერძოებელი უწყების შექმნაზე, რომელიც არ იქნებოდა ამ სისტემის ნაწილი და რომელიც რეალურად იქნებოდა დამოუკიდებელი.

***– რას იტყვით იმ კანონპროექტზე, რომელიც მთავრობამ წარმოადგინა, რამდენად უზრუნველყოფს მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას?***

– ეს პროექტი, რომელიც მთავრობამ დაამტკიცა, ნამდვილად არ უზრუნველყოფს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. ამდენად, ეჭვი მეპარება, რომ რეალურად ეს გახდეს ქმედითი ორგანო.

***– რატომ?***

– დევნის ფუნქციის გარეშე, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ხელში, ეფექტური ბერკეტი, უბრალოდ, არ იქნება. ასევე, საგამოძიებო კვალიფიკაციისა და საგამოძიებო გამოცდილების მქონე ადამიანებით დაკომპლექტებაა საჭირო. წარმოგიდგენიათ, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება რამდენად რთული შეიძლება იყოს, ჩვეულებრივ დანაშაულთან შედარებით. ჩვენი გამოძიება ჩვეულებრივ დანაშაულს ვერ ხსნის. ამ დანაშაულის გასახსნელად ძალიან სერიოზული კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილებაა საჭირო. ამიტომ სახელმწიფო ინსპექტორთან ამ უწყების გაერთიანება თუ დამატება სრულიად ფასადური ამბავი იქნება. ჩემი ღრმა რწმენით, ასეთი უწყება იმ ფუნქციას ვერ განახორციელებს, რომელსაც ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები გვთხოვენ.

მე ვფიქრობ, სწორედ ამაში ვლინდება სახელმწიფოს ნება, რომ ასეთი გამოძიება ქვეყანაში არ გვქონდეს და იქნებ ამ კანონპროექტით ევროკავშირს ნაცარი შეაყაროს თვალში.

***– ქალბატონო ლია, ხელისუფლების, მაგალითად, იუსტიციის მინისტრ წულუკიანის არგუმენტია, რომ დევნის ფუნქცია პროკურატურას აქვს და ჩვენ ახალ უწყებას ვერ შევქმნით. რამდენად არის ეს არგუმენტი?***

– თუ დევნის ფუნქცია არ ექნება, მაშინ ეს არ იქნება საგამოძიებო ორგანო. ასეთი რაღაცა, უბრალოდ, ნონსენსია. საგამოძიებო უწყების პირველი ფუნქცია რა არის?! – რასაკვირველია, დამნაშავე გამოავლინოს და შემდეგ ეს დამნაშავე დასაჯოს. თუ ეს ფუნქცია არ ექნება, მაშინ აქ საგამოძიებო უწყების შექმნაზე საუბარი ზედმეტია. ჩემი აზრით, აბსოლუტურად წარმოუდგენელია, დევნის ფუნქციის გარეშე მოხერხდეს ამ ძალიან რთული მისიის შესრულება. აქ საუბარია თავად სამართალდამცველების მიერ ჩადენილ დანაშაულზე და ეს უნდა გაცნობიერონ.

ასევე გაუგებარია ის გარემოება, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ეძლევა უფლებამოსილება, შეითავსოს დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყება. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის უცნობია, რამდენად არსებობს მსგავსი საერთაშორისო პრაქტიკა. მსგავსი არაფერი გამიგია.

ამიტომ, მე ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ, თუ, რასაკვირველია, მას აქვს პოლიტიკური ნება და ეს არ კეთდება ვიღაცისთვის თვალებში ნაცრის შესაყრელად, გაითვალისწინოს საერთაშორისო რეკომენდაციები. ასევე, მნიშვნელოვანია, ჩვენი არასამთავრობოების ინიციატივები იყოს გააზრებული და გაზიარებული.

თუ ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ვიღაცას თავი მოვაჩვენოთ, თითქოს ჩვენთან ყველაფერი კარგად არის და ყველა რეკომენდაციას პირუთვნელად ვითვალისწინებთ, მაშინ გასაგებია, რა მიზანიც შეიძლება ჰქონდეს მთავრობის ამ პაკეტს, მაგრამ რეალურად ეს საქმეს არ წაადგება და ეს საკანონმდებლო პაკეტი მართლაც არსებულ პრობლემას, რომლის შესახებაც ინფორმაციები რეალურად არსებობს, არ მოაგვარებს და არაფერში წაადგება, უბრალოდ, ვერ მოაგვარებს.

***– ფიქრობთ, საჭიროა, დისკუსიები გაიმართოს, წინადადებები შევიდეს პარლამენტში, რათა პოზიციები შეჯერდეს, თუ ხელისუფლება მაინც თავისას გაიტანს, რადგან უმრავლესობა აქვს?***

– დისკუსიას ყოველთვის აქვს აზრი, მიუხედავად იმისა, რომ მურვან ყრუს მსგავსი პარლამენტი გვყავს და არაფრის შესმენა არ სურს თავისი ხმების რაოდენობისა და კონსტიტუციური უმრავლესობის გამო, მაგრამ ამ დისკუსიას მნიშვნელობა ექნება თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები დაუგდებენ ყურს და მერე საერთაშორისო დონეზე დაახვედრებენ ამ არგუმენტებს ჩვენს მთავრობას. იქნებ ამის შემდეგ მაინც იძულებული გახდნენ, რომ ნამდვილად შექმნან ის ორგანო, რომელიც ამ საქმეს რეალურად განახორციელებს და არა ფასადურად, ისე, რომ შესაძლო სამართალდამცველი დამნაშავე რეალურად არ დაისაჯოს.

# აფხაზეთის ჰიმნის ავტორი პედოფილი აღმოჩნდა

შორენა მარსაგიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში სკანდალები არ ელევათ. მაგრამ ბოლო სკანდალმა აფხაზები შოკში ჩააგდო. აფხაზეთის ჰიმნის ავტორი, ვალერი ჭკადუა პედოფილი აღმოჩნდა.

აფხაზური მედიის ინფორმაციით, 14 თებერვალს სოხუმის გენერალურმა პროკურატურამ ვალერი ჭკადუას წინააღმდეგ პედოფილიის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა.



ამის შესახებ ინფორმაცია აფხაზეთის რესპუბლიკის გენპროკურატურის ოფიციალურ საიტზეცაა გამოქვეყნებული. საქმე პროკურატურაში შესული განცხადების საფუძველზე აღიძრა. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, სხვა დეტალები არ ვრცელდება.

აფხაზური მედია წერს, რომ კომპოზიტორს არასრულწლოვანზე სექსუალური ძალადობის განხორციელებაში ედება ბრალი.

ჭკადუა აფხაზეთში დიდი პატივისცემით სარგებლობს. ისინი თავიანთ ჰიმნს შემთხვევით ადამიანს ხომ არ ანდობდნენ.

როდის დაწერეს აფხაზებმა რესპუბლიკის ჰიმნი უცნობია. ეს ჰიმნი დროშასთან და გერბთან ერთად აფხაზებმა პირველად 1992 წელს დაამტკიცეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც აფხაზებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

პედოფილიაში ეჭვიტანილი კომპოზიტორი მუსიკის ავტორი გახლავთ, ტექსტი კი პოეტ გენადი ალამიას ეკუთვნის.

ვალერი ჭკადუა აფხაზეთში სხვა რამითაც არის ცნობილი. ის აფხაზური ბალეტ „რიწას“ ავტორია.

საინტერესოა, რომ მან 1977 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია დაამთავრა, 1980 წელს კი – ასპირანტურა.

ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, კრიმინალი აფხაზეთშიც შესანიშნავ მდგომარეობაშია. აფხაზებს არც გაუპატიურება უკვირთ, არც ტურისტების გატაცება და მათი დაუთოება. ნარკომანია და მკვლელობები აქ ლამის ჩვეულებრივ ამბად ითვლევა. ასეთ ფაქტებზე ხალხს რეაქციაც კი აღარ აქვს. თითქოს ეს ასე უნდა იყოს.

სამაგიეროდ აქ ძალიან მწვავედ რეაგირებენ პედოფილიაზე. პედოფილიის ფაქტები ოკუპირებულ რეგიონში ხშირი არ არის. ყოველშემთხვევაში საზოგადოებამდე ასეთი ინფორმაციები არ მიდის.

რაც შეეხება სახელმწიფო ჰიმნის ავტორს, მასთან დაკავშირებით პროკურატურა სიფრთხილეს იჩენს. აფხაზეთში ეჭვობენ, რომ ჭკადუას აღმკვეთის სახით შესაძლოა პატიმრობა არც კი მიუსაჯონ.

# სერგი კაპანაძე: „ქართულმა ოცნებამ“ აჩვენა, რომ კონსტიტუციასთან დაკავშირებით თანამშრომლობას საერთოდ არავისთან აპირებს“





საქართველოში ვიზიტით მყოფმა ვენეციის კომისიის დელეგაციამ არასამთავრობო სექტორთან და ოპოზიციასთან საქართველოს პარლამენტში შეხვედრები გამართა.

ჯოზეფ მარია კასტელა ანდრეუსთან და ზია კაგა ტანიართან გამართულ შეხვედრაზე საკონსტიტუციო რეფორმის მიმდინარეობა განიხილეს და იმ ცვლილებებზე იმსჯელეს, რომლებსაც საქართველოს პარლამენტი მესამე მოსმენით მარტში უყრის კენჭს.

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენელმა ლევან ნატროშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ვენეციის კომისიის დელეგაციის შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, შეხვედრაზე საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებული ყველა საკითხი განიხილეს.

– ისინი, რა თქმა უნდა, გამოთქვამენ სურვილს, რომ ჩვენი შეფასებები მოისმინონ და კვლავ გამოაქვეყნებენ თავიანთ მოსაზრებებს საკონსტიტუციო პროცესთან დაკავშირებით და ის რეკომენდაციები, რაც მათ უკვე ჰქონდათ წინა ანგარიშებში, კიდევ ერთხელ წამოიწევა დღის წესრიგში. რაც შეეხება იმას, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამ ყოველივეს ახლა, როცა მესამე მოსმენით ვერ შეიცვლება არსებითი საკითხები, ვინაიდან, საბოლოო ჯამში, გამოვიდა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მთლიანი ტექსტის ინიცირება მოახდინა ცვლილებების სახით, პრეზიდენტს საშუალება ეძლევა, ვეტო დაადოს ფაქტობრივად ნებისმიერ საკითხს კონსტიტუციაში. ვეტოს პროცედურა თუ დაიწყება, კვლავ შეიძლება, ნებისმიერი საკითხი თავიდან სამსჯელო გახდეს, – განაცხადა ნატროშვილმა.

უკვე გატარებულ საკონსტიტუციო რეფორმაში ცვლილებებს არ ელის საპარლამენტო უმცირესობის წევრი სერგი კაპანაძე.

– არავითარი ილუზია არა გვაქვს, რომ ახლა შეიძლება რაიმე შეიცვალოს. „ქართულმა ოცნებამ“ აჩვენა, რომ საერთოდ არ აპირებს არავისთან თანამშრომლობას კონსტიტუციასთან დაკავშირებით. ამიტომ, სამწუხაროდ, ეს არის ჩავლილი მატარებელი ყველასთვის, პირველ რიგში, საზოგადოებისთვის. ჩვენ ამ შესაძლებლობას გამოვიყენებთ, რომ კიდევ ერთხელ ავუხსნათ ვენეციის კომისიას, რა მოხდა არასწორად და რა პრობლემები შეგვიქმნა გატარებულმა საკონსტიტუციო რეფორმამ ყველა ჩვენგანს 2020 წლის არჩევნებისთვის, – განაცხადა სერგი კაპანაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# 83-მილიონიანი მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ იატაკი დაზიანდა



ფეისბუქის სოციალური ქსელით გავრცელდა მეტროსადგურ „უნივერსიტეტში“ გადაღებული ფოტო, სადაც ჩანს, რომ ახლადგახსნილი სადგურის იატაკი დაზიანებულია, თუმცა მასზე შეკეთების მცდელობის „ნაკვალევიც“ აღინიშნება. ფოტოს ფეისბუქის მომხმარებელი გიორგი ბაბუნაშვილი ავრცელებს.

მეტროსადგური „უნივერსიტეტი“ გასული წლის ოქტომბერში, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გაიხსნა.

სოციალური ქსელით გავრცელებულ ფოტოს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის წარმომადგენელი გამოეხმაურა:

– დიდი მადლობა მოწოდებული ინფორმაციისათვის. აღნიშნული ხარვეზის შესახებ თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის ცნობილია. უკვე მივმართეთ კომპანიას, რომელიც მიმდინარე კვირის განმავლობაში გამოასწორებს ამ ხარვეზს საგარანტიო პირობების თანახმად (საგარანტიო მომსახურებას აღნიშნული კომპანია გაგვიწევს 2 წლის განმავლობაში და ის გულისხმობს როგორც შენობა-ნაგებობის, ასევე მოწყობილობა-დანადგარების სერვისს).

**თაიმერი**

# „კალაძეზე სერიოზული შეტევა დაიწყება“

ნონა ცაბაძე



**კახა კუკავა: „ივანიშვილის მიზანი ოპოზიციის დანაწევრებაა“**




**„ახალი თაობის" კითხვებს „თავისუფალი საქართველოს" ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.**

***– ბატონო კახა, ბოლო პერიოდია, აქტიურად ისმის მოწოდებები, რომ ამ არჩევნებში ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს, საჭიროა ერთიანი კანდიდატი, სხვა შემთხვევაში არანაირი შანსი არ აქვთო. ეს თემა არაერთი არჩევნების წინ დამდგარა დღის წესრიგში. როგორ ფიქრობთ, ახლა მაინც გამოვა რამე?***

– ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა, ამის მიუხედავად, ჩვენ უნდა ვთქვათ, რაც არის სწორი პოლიტიკა. სწორი პოზიცია, რა თქმა უნდა, არის ერთიანი კანდიდატი. სრულიად აშკარაა, ორჯერ ორი ოთხია, რომ ერთიანი კანდიდატის გარეშე ოპოზიცია ამ არჩევნებში წარმატებას ვერ მიაღწევს. ყველაზე კარგად კი ეს ხელისუფლებამ იცის.

***– და ხელს გიშლით ამაში?***

– სწორედ ამიტომაც არის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები მუდმივად აქილიკებენ ამ თემას. ასევე ხელისუფლებასთან ასოცირებული ექსპერტები, როგორებიც არიან რამაზ საყვარელიძე, გია ხუხაშვილი და ასევე ხელისუფლების სატელიტი პარტიები, მაგალითად, ბოკერია აქტიურად აქილიკებს და კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ამ იდეას. ერთ-ერთი მეთოდი იმისა, რომ გაიგო, რა არის სწორი ნაბიჯი, უნდა ნახო შენი მტრის რეაქცია. რაც შენს მტერს არ მოსწონს, სწორედ ის არის სწორი ნაბიჯი.

***– ხუხაშვილი ხელისუფლების სატელიტ ექსპერტად მოიხსენიეთ, არადა, ჩვენ ვხედავთ, რომ ის სულ ხელისუფლების ლანძღვასა და კრიტიკაშია.***

– ხუხაშვილი ზუსტად ისე ლანძღავს ხელისუფლებას, როგორც ამას აკეთებს ბოკერია, ანუ შეგიძლია, გალანძღო მინისტრი, მინისტრის მოადგილე, ვიღაცა კონკრეტული პარლამენტარი, ნებისმიერი ჩინოვნიკი, გარდა რეჟიმისა, გარდა ივანიშვილისა. ჩვენ გვახსოვს ზუსტად ასეთივე ექსპერტები, ასეთივე სატელიტები შევარდნაძის დროს, როცა შეგეძლო, გაგეკრიტიკებინა ყველა, გარდა შევარდნაძისა. ზუსტად ის სისტემაა ახლაც. გია ხუხაშვილი არასდროს საუბრობს იმაზე, რაც არის ჩვენს ქვეყანაში მთავარი უბედურება და ამ უბედურების სათავე!

***– და რა არის მთავარი უბედურება?***

– ეს არის არაფორმალური მმართველი, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიქართული, ეს არის ბიძინა ივანიშვილი, რომელზეც არ საუბრობენ. ახლა ირაკლი კობახიძეს თუ აშაყირებს, კობახიძეს ვანო ჯავახიშვილიც აშაყირებს. ეს არ არის პოლიტიკური ექსპერტობა.

***– ერთიანი კანდიდატის იდეას ბლოკავენო. თავად ოპოზიცია თუა მონდომებული და თუ ხედავს ამ იდეაში გამოსავალს?***

– ჩვენ გარდა, მე არ ვიცნობ არცერთ ოპოზიციურ ძალას, რომელიც დაინტერესებული იყოს ამ თემით სისხლხორცეულად.

***– სააკაშვილმა გააჟღერა ეს თემა უკრაინიდან, თუმცა არ დასცალდა იდეის ბოლომდე გაშლა.***

– დიახ, სააკაშვილმა გააჟღერა, ოპოზიცია უნდა გაერთიანდესო, ოღონდ იქვე ჩამოთვალა 12 პარტია, რომლებიც არ უნდა გაერთიანდნენ ამ ერთიანი კანდიდატის ირგვლივ. საბოლოო ჯამში, გამოვიდა, რომ თვითონ აპირებს გაერთიანებას, ალბათ, გიორგი ვაშაძესთან. ეს, რა თქმა უნდა, არასერიოზულია. მე ამას დავარქმევდი პოლიტიკურ სიწუწკეს. ვფიქრობ, არ არის სააკაშვილი იმ ვითარებაში, რომ თავის თავს ამდენის უფლებას აძლევდეს.

***– თუ დადგა ოპოზიციის გაერთიანების საკითხი, გაერთიანდებით ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად?***

– არა, რა თქმა უნდა. ჩვენ გვესმის, საქართველოში პოლიტიკური სპექტრი რამდენად ფრაგმენტირებულია, გაერთიანება, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, შეუძლებელია, მაგრამ აქ საუბარია იმ ფორმაზე, რომ შესაძლებელია, არცერთმა ოპოზიციურმა პარტიამ არ დააყენოს თავისი რეალური კანდიდატი და მხარი დაუჭიროს დამოუკიდებელ კანდიდატს, რომელიც მისაღები იქნება ოპოზიციის სხვადასხვა ფლანგისათვის. ახლა ამბობენ, უნდა გავერთიანდეთ პროდასავლური ძალებიო. ვის რად უნდა მაგათი ლიბერასტი კანდიდატი, მის მიერ აღებული 2%-ით აპირებენ ივანიშვილის დამარცხებას?! ან არაპროდასავლური ძალები რომ გაერთიანდნენ, არც მათი კანდიდატი იქნება ხელისუფლებისთვის კონკურენტი. საქმე ის არის, რომ უნდა მოიძებნოს ისეთი კანდიდატი, რომელიც თანაბრად მისაღები იქნება ყველასთვის.

***– გეგულებათ ისეთი კანდიდატი, რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება?***

– კი, რა თქმა უნდა. უბრალოდ, დღეს თავს შევიკავებ გვარების დასახელებისგან. თუმცა კონსულტაციები გვქონია ამ თემაზე. მთავარია, იყოს პოლიტიკური მზაობა ძირითადი პოლიტიკური ძალების მხრიდან. ისეთი კანდიდატი უნდა იყოს, რომელიც არც პუტინზე ილოცებს და არც ცისარტყელას დროშა ექნება გამოკიდებული. ასეთი კანდიდატების მოძებნა კი რთული არ არის.

***– მოვისმინეთ ასეთი ვერსიებიც, რომ შესაძლოა პროდასავლური პარტიები მარგველაშვილის ირგვლივ გაერთიანდნენ და მას დაუჭირონ მხარი. ამაზე რას იტყვით?***

– მე არ ვიცი, შეიძლება თუ არა, ეს მოხდეს, მაგრამ ეს იქნება პირდაპირ ის, რაც უნდა ბიძინა ივანიშვილს. ბიძინა ივანიშვილის მთავარი ამოცანა ოპოზიციის ფრაგმენტიზაციაა, რასაც ის წარმატებით ახორციელებს. უნდა ითქვას ისიც, რომ მან გვაჯობა ბოლო რამდენიმე წლის პროცესში იმითაც, რომ უკეთესად გათვალა ის რეალობა, რომელიც საქართველოშია. მან შექმნა რამდენიმე ოპოზიციური პარტია, რომლებიც თავიდან ბოლომდე მას ემორჩილებიან და ამით ოპოზიციაში სასურველ დროს შეაქვს დისონანსი. რაც შეეხება ოპოზიციის იმ ნაწილს, რომელიც მისგან კონტროლირებადი არ არის, მათ ჯერ კიდევ არა აქვთ გაცნობიერებული, რა ხდება და აბსოლუტურად არასწორ განაცხადებს აკეთებენ.

***– ივანიშვილის სატელიტ პარტიებზე საუბრობთ. ხშირად სახელდება „ევროპული საქართველო“. კიდევ რომელი პარტიები შექმნა მის სატელიტად?***

– ამ ეტაპზე არ მინდა ამ თემაზე საუბარი. როდესაც ვსაუბრობთ ოპოზიციური პარტიების გაერთიანებაზე, არ მინდა, ისე მოხდეს, რომ ჩვენ დავუკეტოთ მათ კარი. მოდით, თვითონ პროცესმა გამოაჩინოს. ეს პროცესი იქნება ძალიან ღია, გამჭვირვალე და საზოგადოება დაინახავს, ვინ მიიღებს ამ პროცესში მონაწილეობას და ვინ იქნება მისი ჩამშლელი.

***– ბევრი ცნობილი ფიგურის გვარმა გადაინაცვლა უკანა პლანზეო. თავიდან აქტიურად იყო საუბარი როგორც კალაძეზე, ისე კვირიკაშვილზე. ასევე გვესმის შეფასებები, რომ კალაძე ბოლო პერიოდში სერიოზულ დარტყმებს იღებს და თავად ივანიშვილმა შეუქმნა ეს სიტუაცია. ასეა?***

– ეს ივანიშვილის მართვის სტილია. მას ჰყავდა ფავორიტები რამდენიმე თვის განმავლობაში და შემდეგ თვითონვე იწყებდა ამ ფავორიტების ჩაძირვას. კალაძე გამოიყენეს კახური კლანის წინააღმდეგ. ახლა კალაძის წინააღმდეგ გამოიყენებენ რომელიმე ახალ ფიგურას. ეს ძველი, გამოცდილი ტექნოლოგიაა. საინტერესოა, კალაძე რამდენად გაართმევს თავს ამ შემოტევებს.

***– თქვენ როგორ ფიქრობთ, გაართმევს თავს თუ დასამარდება მისი რეიტინგი?***

– ძალიან რთული სათქმელია, იმიტომ რომ პროცესი არის ფეხბურთივით, როგორც ვერცერთი ფეხბურთის ექსპერტი ვერ გეტყვით წინასწარ, რეალი მოიგებს თუ პსჟ, ზუსტად ასეა პოლიტიკაშიც. ჩვენ შეგვიძლია, შევაფასოთ მიმდინარეობა. კალაძე ჯერჯერობით ფრთხილად თამაშობს. ის არ აპირებს რამე პოპულისტური ღონისძიებების განხორციელებას. ამ ეტაპზე ეს შესაძლოა სწორი ნაბიჯიც იყოს, თუმცა მისი სიფრთხილე თუ მუდმივ საქმიანობაში გადავიდა, მაშინ ისიც ნარმანია გახდება. მას რაღაც ლიმიტი აქვს, რომლის შემდეგაც უნდა დაიწყოს თავისი ქმედებები, მით უმეტეს, თუ შემდეგ არჩევნებში აპირებს მონაწილეობას. თუ ის ემზადება 2020 წლის არჩევნებისთვის, მას შეუძლია, 2018 წელს დაისვენოს, თუმცა 2019-დან სერიოზული რეფორმების გატარება მოუწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, 2020-ისთვის ჩამოწერილი ნარმანია იქნება.



# ექიმების კვალიფიკაცია და განათლების ხარისხი პაციენტებისათვის საფრთხედ იქცა

ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო რეგულირების სააგენტოს ინფორმაციით, 2017 წელს 305 ექიმიდან 300 ექიმის შემთხვევაში დადასტურდა, რომ მათ მიერ გარკვეულ გადაცდომას ჰქონდა ადგილი.

კერძოდ, გასული წლის განმავლობაში პროფესიული პასუხისმგებლობა 300 ექიმს დაეკისრა. ინფორმაციის თანახმად, 207 ექიმს მიეცა „წერილობითი გაფრთხილება“, სერტიფიკატის მოქმედება სხვადასხვა ვადით კი 93 ექიმს შეუჩერდა.

აღნიშნულ თემას „კომერსანტთან“ საუბრისას ექსპერტები აფასებენ. მათი განცხადებით, ზემოთ მოყვანილი ციფრები ყურადსაღებია. ექსპერტების აზრით, ჯანდაცვის სექტორი მკაცრი რეგულაციების დაწესებას საჭიროებს. მათი აზრით, ქვეყანას მეტი პროფესიონალი კადრი სჭირდება.

როგორც „კავკასიის უნივერსიტეტის“ ჯანდაცვის სკოლის დეკანი ვატო სურგულაძე ჩვენთან საუბრისას აცხადებს, აღნიშნული მონაცემები მეტ სიზუსტეს მოითხოვს.

– ზემოთ მოყვანილი ციფრები ნებისმიერ შემთხვევაში ყურადსაღებია. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. მიმაჩნია, რომ მონაცემების მოწოდება სრულად უნდა მოხდეს. მაგალითად, რა კონკრეტული შეცდომები იქნა დაშვებული, რომელი დაავადებების დროს და რომელი მიმართულების ექიმებს შეეხო, – განაცხადა სურგულაძემ.

მისივე აზრით, ქვეყანაში ჯანდაცვის ხარისხი ყოველდღიურად იკლებს ამის გამოსწორება კი თავად სახელმწიფომ პროფესიონალი კადრების გამოშვებით უნდა შეძლოს.

– ქვეყანაში ჯანდაცვის ხარისხი ყოველდღიურად იკლებს ამას კი კონტროლი სჭირდება. სფერომ პროფესიონალი კადრები უნდა გამოუშვას და შემდგომ მათი გადამზადება მოხდეს. სამწუხაროდ, ჩვენთან ეს არ ხდება იღებენ დიპლომს და განვითარებას აღარავინ აგრძელებს, – აღნიშნა ვატო სურგულაძემ.

სპეციალისტის აზრით, ასევე აუცილებელია, სფეროს მკაცრი რეგულაციები დაუწესდეს და ჯანდაცვის სამინისტრომ ყველა დეტალი საფუძვლიანად შეისწავლოს. მისი განცხადებით, კონსილიუმის ცნება ქვეყანაში უნდა აღდგეს.

– სექტორს ზოგადად მკაცრი რეგულაცია სჭირდება. მაგალითად, ნებისმიერი დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა განხილული უნდა იყოს ჯანდაცვის სამინისტროს და კონკრეტული კლინიკის დონეზე, არა მხოლოდ ფორმალურად არამედ რეალურად. ქვეყანაში კონსილიუმის ცნება მოკვდა და ეს საკითხიც მისახედია, – განმარტავს „კომერსანტთან“ სურგულაძე.

„კომერსანტთან“ რიცხვების მაღალ მაჩვენებელზე საუბრობს ჯანდაცვის პოლიტიკისა და მართვის სპეციალისტი, სერგო ჩიხლაძეც და მიიჩნევს, რომ ჯანდაცვის სექტორში არაკვალიფიციური კადრების არსებობით ბევრი პრობლემა დგას, მათ შორის ზემოთ აღნიშნული საკითხი სწორედ ამ პრობლემებითაა გამოწვეული.

– ეს რიცხვები პატარა მაჩვენებელი არ არის და ის გასულ წლებთან შედარებით მომატებულია. ექიმების კვალიფიკაციის ამაღლება აუცილებელია და ქვეყანაში არაკვალიფიციური კადრების პრობლემა ნამდვილად დგას. დიპლომის აღების შემდგომ ექიმი, როგორც პროფესიონალი უნდა განვითარდეს. სპეციალური სტანდარტები უნდა დაინერგოს. მაგალითად, როგორიცაა გარკვეული სახის კონფერენციებზე დასწრება და ტრენინგკურსების გავლა. ჩვენ ცვლილებები უმაღლესი განათლებიდან უნდა დავიწყოთ, რადგან ჩვენი უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლები ვერ უშვებენ არა მხოლოდ საერთაშორისო, არამედ შიდა ბაზარზე კონკურენტულ კადრებს. სახელმწიფოს როლი ამ ყველაფრის გამოსწორებაში აუცილებელია, თუმცა ამაზე კერძო სექტორმაც უნდა იზრუნოს, – განაცხადა ჩიხლაძემ.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო რეგულირების სააგენტოს ინფორმაციით, „სააგენტოს უფროსის ბრძანების საფუძველზე, პაციენტთათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხის შესწავლა დაწყებულია 170 შემთხვევაში. პროფესიული განვითარების საბჭომ განიხილა 305 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობა: 2 ექიმს არ დაეკისრა პროფესიული პასუხისმგებლობა; 3 ექიმის საკითხის განხილვა გადაიდო სამართალდამცავი ორგანოებიდან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის შემდეგ. 300 ექიმს დაეკისრა პროფესიული პასუხისმგებლობა.

აქედან 207 ექიმს მიეცა „წერილობითი გაფრთხილება“; სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება სხვადასხვა ვადით შეუჩერდა 93 ექიმს, – ნათქვამია ინფორმაციაში.

რაც შეეხება წინა წლებს, 2016 წლის სტატისტიკური მონაცემის მიხედვით, სააგენტომ 178 პაციენტის საქმე შეისწავლა და პროფესიული პასუხისმგებლობა დააკისრა 198 ექიმს, საიდანაც 105-ს წერილობითი გაფრთხილება მიეცა, ხოლო სხვადასხვა ვადით სერტიფიკატის მოქმედება 93 ექიმს

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# „სააკაშვილს უნდოდა, ქართველი სამხედროები პოროშენკოს წინააღმდეგ გამოეყენებინა“

გულიკო ბალაძე

**ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში, ვახტანგ მაისაია, რომელიც ასევე უკრაინის ექსპერტი და ბლოგერია, „ახალ თაობასთან" აცხადებს, რომ სააკაშვილი დაკავშირებული იყო რუს ოლიგარქებთან და წარმოადგენდა რუსეთის მეხუთე კოლონას უკრაინაში. უკრაინის ხელისუფლებამ პოლონეთში ექსტრადირებით სააკაშვილის სიცოცხლეც გადაარჩინა.**



***– ბატონო ვახტანგ, სააკაშვილის უკრაინაში ყოფნაში უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა საფრთხე დაინახა და ამიტომ მოახდინეს პოლონეთში ექსტრადირება?***

– რა თქმა უნდა.

***– ასე თქვეს, სააკაშვილის პოლონეთში ექსტრადირება საერთაშორისო შეთანხმებით მოხდაო.***

– აბსოლუტურად სწორია, მიხეილ სააკაშვილი საიდანაც უკანონოდ შემოვიდა, იქ დააბრუნეს, ანუ მოხდა მისი რემისია.

***– როცა შევიდა სააკაშვილი უკრაინაში, მაშინვე რატომ არ განხორციელდა მისი ექსტრადირება?***

– შეგვიძლია, ეს ავუხსნათ ჩვენს ქართველ მკითხველს, რადგან უკრაინაში ეს უკვე გაცვეთილი თემაა, უკრაინელი საზოგადოება დიდი მოთმინებით ხვდება და ეთანხმება პოროშენკოს ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას.

***– სააკაშვილს მომხრეები არ ჰყავს თუ ძალიან მცირეა მისი მომხრეების რიცხვი?***

– სააკაშვილს ძალიან ცოტა მომხრე ჰყავს, დაახლოებით 1-2%. თუმცა, აქ არის ერთი ნიუანსი – სააკაშვილმა შემოიკრიბა ყველაზე რადიკალურად განწყობილი უკრაინული პოლიტიკური ძალები, დაახლოებით ისეთი, როგორიც თავის დროზე ჩვენთან მხედრიონი იყო. ეს გასამხედროებული, ნაციონალისტ-რადიკალური ტიპის ძალებია, რომელთა მიმართ უკრაინაშიც ძალიან უარყოფითი დამოკიდებულება არსებობს. შემთხვევითი არ არის, რომ მათ გააკეთეს ახალი რუხი. რუხი ყოველთვის იყო დაკავშირებული რადიკალურ-ნაციონალისტურთან, რაც გასაგებია. მიხეილ სააკაშვილმა დაიკავა რადიკალურ-ნაციონალისტური ფრთის პოზიციები და, შესაბამისად, ცდილობდა, ქვეყანაში მოეხდინა სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვა და გაეხსნა მესამე ფრონტი.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– უკრაინა დღეს, ფაქტობრივად, ჩაბმულია საომარ მოქმედებებში. ის იბრძვის ორ ფრონტზე. ერთია ყირიმის მიმართულება. ყირიმში ძალიან სერიოზული პროცესები დაიწყო. მეორე დონბასის მიმართულებაა, სადაც მცირე ინტენსივობის სამხედრო კონფლიქტია. ყირიმში არის ჰიბრიდული ომი. რუსეთი მასობრივად და მიზანმიმართულად იბრძვის უკრაინაში რეჟიმის შესაცვლელად იმისათვის, რომ ეს ქვეყანა რუსული გეოპოლიტიკური და პოლიტიკური გავლენების სფეროებში მოექცეს.

უკრაინას ასევე დაძაბული ურთიერთობა აქვს ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებთან, როგორიც არის, მაგალითად, უნგრეთი, რომელთანაც სიტუაცია გართულდა. კვლავ დაიძაბა ურთიერთობა უკრაინა-პოლონეთს შორისაც. ამას პლუს უკრაინა განიცდის შიდაპოლიტიკურ გავლენებს, როგორიც არის კრიმინალი. ამ ქვეყანაში 5 მილიონი ერთეული იარაღია გაბნეული.

***– 5 მილიონი ერთეული ავტომატური იარაღი?***

– დაახლოებით. შედეგად უკრაინაში კრიმინალური სიტუაცია მძიმეა. ქვეყანამ გადაიტანა სისხლიანი რევოლუცია, გადაიტანა ბრძოლა ყირიმისათვის, დონბასისათვის და სხვა ბრძოლები, ავტორიტარული რეჟიმიდან დემოკრატიული რეჟიმის მიმართულებით ტრანსფორმაცია. უკრაინაში კორუფცია სერიოზული საკითხია და დიდი გამოწვევებია.

***– კორუფციაში სააკაშვილი პოროშენკოსა და მის ხელისუფლებას ადანაშაულებს. ახლაც პოლონეთიდან ლაპარაკობდა, პოროშენკოს კორუფციაში ვამხელდი და ამიტომ გამომაძევესო.***

– თვითონ რომ იყო ოდესაში, არ იყო ჩაფლული კორუფციაში? პოროშენკომ სააკაშვილი გუბერნატორობიდან იმიტომ გადააყენა, რომ სააკაშვილი თვითონ ჩაება კორუფციაში. სააკაშვილმა დაიწყო ოდესის პორტისთვის ბრძოლა, ყველგან თავისი ხალხი ჩააყენა და არალეგალურ ფულის აკეთებდა. ფაქტობრივად, პოროშენკო იძულებული გახდა, კორუმპირებული ოდესის გუბერნატორი თანამდებობიდან გადაეყენებინა. ამაზე პროკურატურამ დაიწყო გამოძიება და საკმაოდ სერიოზულ დონეებზე გავიდა.

***– ახლა დაიწყო?***

– ახლა არა, ადრეც იყო საუბარი სააკაშვილის კორუმპირებულობაზე.

***– მაშინ, რატომ არ დააპატიმრა?***

– იმიტომ არ დააპატიმრა, რომ უკრაინაში იოლი სიტუაცია არ არის. ქვეყანა ერთდროულად არის ჩაბმული სამ ჰიბრიდულ ომში. პოროშენკო ერიდება იმ რეპრესიების გატარებას, რომლებსაც იანუკოვიჩი ახორციელებდა. ეს არის განსხვავება იანუკოვიჩისა და პოროშენკოს ხელისუფლებებს შორის, ავტორიტარულ რეჟიმსა და აბსოლუტურად ტრანსფორმირებულ დემოკრატიულ ხელისუფლებას შორის. პოროშენკო ერიდება იანუკოვიჩის სისხლიანი პროცესების განმეორებას, რამაც უკრაინა ძალიან ცუდ შედეგებამდე მიიყვანა. სააკაშვილი ყოველგვარ ზღვარს გადავიდა. უკრაინის ხელისუფლება კი ერიდება სიტუაციის გამწვავებას. სააკაშვილს ჰყავს რადიკალური ჯგუფის წარმომადგენლები. მათ ემორჩილებიან სამხედრო ფორმირებები.

***– უმართავი სამხედრო ფორმირებებია?***

– უმართავი ფორმირებებია. ეს იყო უკრაინის ხელისუფლების შეცდომა, რომ მან თავის დროზე მოხალისეების შენაერთები შექმნა. ასეთი რამ თავის დროზე საქართველომაც გადაიტანა – გვარდია, მხედრიონიც არ გაერთიანდნენ რეგულარულ შეიარაღებულ ძალებში და, შემდეგ რა ბოროტება მოუტანეს საქართველოს, კარგად მოგეხსენებათ. რაც ჩვენ გავიარეთ იმ ეტაპზე, იმას დღეს უკრაინა გადის. მე მგონი, ედუარდ შევარდნაძემაც მაშინვე მხედრიონსა და გვარდიას კისერი ვერ მოუგრიხა. შევარდნაძეს ოთხი წელი დასჭირდა, რომ ეს გასამხედროებული ფორმირებები დაემორჩილებინა და განეიარაღებინა.

უკრაინაში დღეს მსგავსი სიტუაციაა. უკრაინის ხელისუფლებამ უკვე მიიღო ზომები. დაიწყო არსებული ფორმირებების დაქვემდებარება-დაშლა და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია იმ კუთხით, რომ უკრაინის არმია ჩამოყალიბდა ცენტრალიზებულ შენაერთად. ამიტომ უკრაინის ხელისუფლება ცდილობდა, მშვიდობიანი და არაძალადობრივი გზებით მოეხდინა არშემდგარი პოლიტიკოსის (სააკაშვილის) პოპულისტური ქმედებების განეიტრალება. სააკაშვილი აშკარად სიტუაციას ურევდა.

***– სააკაშვილს შეეძლო, სიტუაცია დაეძაბა?***

– ის მიდიოდა დაძაბულობის მიმართულებით. მან შეაგდო ქართული ლეგიონის კონფლიქტი და არ გამოუვიდა. სააკაშვილს, ფაქტობრივად, უნდოდა, ქართული ლეგიონი უკრაინაში გამოეყენებინა სამხედრო ძალად პოროშენკოს წინააღმდეგ ისევე, როგორც სხვა რადიკალური დაჯგუფების წარმომადგენელი, ანუ სააკაშვილი უკრაინისთვის უკვე სამხედრო საფრთხე გახდა. ამიტომ, ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში შეიქმნა სამხედრო დაპირისპირების საფრთხე. ამ სიტუაციაში სააკაშვილს რომ წარმოედგინა თავი ჰეროიზაციის სიმბოლოდ (ყველაფერი მხოლოდ კანონით ხომ არ იზომება. უკრაინა ახლა მძიმე მდგომარეობაშია. ყველაფერი კანონით რომ გაკეთებულიყო, კიდევ უფრო დამძიმდებოდა სიტუაცია), სააკაშვილის დაპატიმრება გამოიწვევდა მის ჰეროიზაციასა და სიტუაციის აწევას.

***– სააკაშვილს შეეძლო სიტუაციის აწევა?***

– რა თქმა უნდა, შეეძლო, რადგან სააკაშვილი იყო პიროვნება, რომელიც რუსეთიდან იმართებოდა. იანუკოვიჩის მთავარ დამფინანსებელ კრუჩენკოსთან კავშირი, რომელიც ასევე აფინანსებს დონბასელ სეპარატისტებს, იყო ის მომენტი, რომ სააკაშვილი გახდა მეხუთე კოლონა უკრაინისთვის. მიხეილ სააკაშვილმა მეხუთე კოლონის ფუნქციების შესრულება ითავა. შესაბამისად, მეხუთე კოლონის დაშლა, მასში შემავალი ძალების ნეიტრალიზაცია, ბუნებრივია, იოლ საქმეს არ წარმოადგენს. სააკაშვილს არავითარი გავლენა არ აქვს საზოგადოების მარტვაზე, მაგრამ მას ჰქონდა ის ბერკეტები, რომ მეხუთე კოლონის მსგავსად სიტუაცია აერია და ხელი შეეწყო რუსული აგრესიის შემდგომი გაზრდისთვის უკრაინის შიგნით. ამას კარგად აცნობიერებდა უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლება.

ამიტომ უკრაინის ხელისუფლებამ ძალიან კარგად, სპეციალური ტექნოლოგიებით, მათ შორის, პოლიტიკური ბერკეტების გამოყენებით შეძლო სააკაშვილის ნეიტრალიზაცია და, ფაქტობრივად, ქვეყნიდან გაძევება, როგორც ჩვენ შევძელით პანკისის სპეცოპერაციის დროს და რადიკალი ისლამისტების შენაერთები იარაღის გამოყენების გარეშე, ჰიბრიდული ელემენტების გამოყენებით, ქვეყნის გარეთ გავაძევეთ საშიში ძალა. ამდენად, პოროშენკოს ხელისუფლებამ სააკაშვილის ექსტრადირება დიდი წარმატებით განახორციელა და სწორადაც მოიქცა.

***– საერთაშორისო შეთანხმებით სააკაშვილის უკრაინიდან გაძევება რას ნიშნავს?***

– საიდანაც გადმოვიდა, იქით გადაიყვანეს. რემისია გაწერილია სამართლებრივ საკითხებში.

***– რას იტყვით იმ ადამიანებსა და ძალებზე, რომლებსაც სააკაშვილის იმედი კიდევ აქვთ?***

– ისინი მარგინალური ძალები არიან. თვითონ ნაცმოძრაობის შიგნით ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში სააკაშვილის გვერდით იყვნენ, დღეს ჯალათს ეძახიან. მისი ყოფილი თანამებრძოლები, „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლები, თავიანთ ფიურერს პოლიტიკურ კლოუნს უწოდებენ, უპირისპირდებიან და ცინიკურადაც უსწორდებიან.

# აფხაზეთი რევოლუციას გადაურჩა?

## გამოუტანს თუ არა გამამტყუნებელ განაჩენს საკონსტიტუციო სასამართლო ხაჯიმბას?

მარიამ მჭედლიშვილი

**„ახალი თაობა" წერს, რომ ოკუპირებული აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გაარკვიოს, დაარღვია თუ არა კანონმდებლობა დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ „ტყის ძმების" წევრ გიორგი ლუკავას შეწყალებისა და თბილისისათვის გადმოცემის პროცესში.**



საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობას ხელს უშლიდა ის, რომ ეს ორგანო ბოლომდე არ იყო დაკომპლექტებული.

აფხაზეთის კანონმდებლებმა საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთი წევრი, ალისა ბიგვავა, სესიაზე დაამტკიცეს.

კენჭისყრამ აფხაზი მიმომხილველები საგონებელში ჩააგდო. ოპოზიციის ნაწილი საკითხის დღის წესრიგიდან ამოღებას მოითხოვდა. ამ დეპუტატების არგუმენტი ასეთი იყო – პრეზიდენტმა არ დააკმაყოფილა მოთხოვნა თავისი ადმინისტრაციის უფროსის დროებით გადაყენების თაობაზე. მისი გადაყენება უნდა მომხდარიყო იმ დროს, როცა საკონსტიტუციო სასამართლო ლუკავას შეწყალების კანონიერების საქმეს შეისწავლიდა.

წესით, ოპოზიციონერებს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებისა და საბოლოო გადაწყვეტილების დაჩქარების სურვილი უნდა გასჩენოდათ, მაგრამ ასე არ მოხდა. ოპოზიციონერები ჯერ საკითხის ამოღებასა და გადატანას მოითხოვდნენ, შემდეგ კი პროცედურა გააპროტესტეს.

– ოპოზიციის კანდიდატს თვითონ ოპოზიციამ გამოუცხადა ბოიკოტი. რა იმალება ამ თამაშის უკან? – სვამს კითხვას ხელისუფლების მომხრე გამოცემა.

დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენელი იზიდა ჭანია მომხდარს პოლიტიკურ ძალებში ახალ გადაჯგუფებებს უკავშირებს.

– ოპოზიციაში ახალი განხეთქილება 5 იანვარს მოხდა. ოპოზიციის მთავარი საზრუნავი არა საკონსტიტუციო სასამართლო, არამედ, საპრეზიდენტო არჩევნებია. ოპოზიციის ნაწილი მომხრეა, რომ ეს არჩევნები დადგენილ ვადაში გაიმართოს. როგორც ჩანს, ეს ჯგუფი პარლამენტის უმრავლესობას შეუერთდა, – განმარტავს ჭანია.

მისი შეფასებით, გაირკვა, რომ აფხაზეთი ნახევარი ნაბიჯით ასცდა რევოლუციას, ანუ მოვლენათა გაუთვალისწინებელი განვითარების ვარიანტს.

ავტორს უჭირს იმის პროგნოზირება, ხანგრძლივი იქნება თუ არა ოპოზიციის კავშირი ხელისუფლებასთან.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის ოპოზიციის მორიგი რადიკალიზაცია გიორგი ლუკავას შეწყალებასა და გადმოცემას მოჰყვა. ამის გამო სოხუმში დაიწყო საპროტესტო აქციები. საზოგადოება საკონსტიტუციო სასამართლოს განაჩენის მოლოდინშია. ხალხის უმრავლესობას სამართლებრივზე მეტად ამ მოვლენის მორალური და პოლიტიკური მხარე აღელვებს. ამან კიდევ უფრო შეარყია ხაჯიმბას ავტორიტეტი.

ოპოზიციამ იანვრის ბოლოს ღიად გამოაცხადა, რომ ხელს შეუწყობს ხაჯიმბას გადადგომასა და ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს. ხაჯიმბას ვადა 2019 წელს ეწურება. რადიკალებს უნდათ, რომ ვადამდელი არჩევნები მანამდე გაიმართოს.

რადიკალურ განწყობებს მანამდე გაემიჯნა ყოფილი პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი, რომელიც ამჟამად დეპუტატია. ანქვაბი ხაჯიმბას მთავარ მოწინააღმდეგედ ითვლებოდა. 2017 წლის ბოლოს ანქვაბი საუბრობდა ერთიანი, შეთანხმებული კანდიდატის წამოყენებაზე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. მან გამოთქვა მზადყოფნა, ამ კანდიდატის შტაბის უფროსი გახდეს. კულუარულად გავრცელდა ინფორმაცია ანქვაბისა და ხაჯიმბას დახურულ კარს მიღმა შეხვედრის თაობაზე. ამ დროიდან აღარ შეინიშნება შავი პიარი და კამპანია ანქვაბის წინააღმდეგ.

# ექიმების კვალიფიკაცია და განათლების ხარისხი პაციენტებისათვის საფრთხედ იქცა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

შეუჩერდა. აღსანიშნავია, რომ არც ერთი ექიმის მიმართ არ იქნა გამოყენებული ყველაზე მკაცრი პროფესიული სანქცია.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველო ექიმთა რაოდენობით ერთი მოწინავე ქვეყანაა და ყატარის, კუბის, ავსტრიისა და რუსეთის შემდეგ მე-5 ადგილზე იმყოფება.

ექიმთა რაოდენობის მხრივ საქართველო მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებსაც უსწრებს. მაგალითად, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოში 10.000 სულ მოსახლეზე 53 ექიმი მოდის, მაშინ როცა იმავე რაოდენობის მოსახლეობაზე ბულგარეთსა და გერმანიაში 38 ექიმია გათვალისწინებული, შვეიცარიაში – 39, იტალიაში – 40, ლიტვაში – 41. შეერთებულ შტატებში, სადაც ჯანდაცვის სფეროზე მთლიანი შიდა პროდუქტის 17,9 პროცენტი იხარჯება, 10.000 სულ მოსახლეზე, სულ რაღაც, 24 ექიმი მოდის, ანუ მინიმუმ ორჯერ ნაკლები, ვიდრე საქართველოში. დიდ ბრიტანეთში ეს მაჩვენებელი 27-ს შეადგენს, უზბეკეთში კი 10.000 სულ მოსახლეზე 23 ექიმია გათვალისწინებული.

# გააძვირებს თუ არა სამშენებლო ნებართვების წესში შესატანი ცვლილებები უძრავ ქონებას



დეველოპერული კომპანიები დედაქალაქში მშენებლობების ნებართვის გაცემის წესში შესატან ცვლილებებს მიესალმებიან, თუმცა, იმედი აქვთ, რომ აღნიშნული რეგულაციების აღსრულების ნაწილი ეფექტური იქნება.

ამასთან, დეველოპერები მიიჩნევენ, რომ რეგულაციებმა შესაძლოა ბიზნესისთვის ხარჯები მნიშვნელოვნად არ გაზარდოს, მაგრამ რისკები არსებობს, რომ ნებართვების გაცემის პროცესები დროში გაჭიანურდება.

როგორც სამშენებლო კომპანია „ივერონის" დამფუძნებელი არჩილ ჯაყელი „ბიზნესპრესნიუსთან" საუბრისას აცხადებს, რეგულაციები, რომლებიც გამწვანებას ეხება, აუცილებელი და საჭიროა.

– ეკოლოგიური საკითხი და სატრანსპორტო კვლევა, ორივე საჭირო ცვლილებაა. მშენებლობები მომრავლდა და პროცესები თუ მოწესრიგებულად არ წარიმართა, შეიძლება სატრანსპორტო კოლაფსამდე მივიდეთ. ჩვენთვის მთავარია კონსულტაციები და ის, რომ რეალურად ინიციატივები ეფექტური გამოდგეს. კონსულტაციები დედაქალაქის მერიასა და ბიზნესს შორის იმართება, თუმცა მეტად ინტენსიური უნდა იყოს და არა მხოლოდ მსხვილ დეველოპერულ კომპანიებს, არამედ წვრილ კომპანიებსაც უნდა შეხვდნენ და მათი მოსაზრებაც მოისმინონ. მეტი ინფორმირებულობა და ჩართულობაა საჭირო, რადგან ზოგჯერ მსგავსი შეხვედრების შესახებ არ გვატყობინებენ, – აღნიშნავს ჯაყელი.

მისი თქმით, ბიზნესისთვის ხარჯების გაზრდა შეიძლება მოხდეს მცირედით, მაგრამ არა – მნიშვნელოვნად.

– გამწვანების გეგმის წარმოდგენამ არ მგონია, ბიზნესისთვის რაიმე გააძვიროს. რაც შეეხება სატრანსპორტო კვლევას, ხარჯები მცირედით გაიზრდება, მაგრამ არა კატასტროფულად. მსხვილ დეველოპერებთან შედარებით, წვრილ კომპანიებს უფრო გაუზრდის ხარჯებს, მაგრამ ეს ცვლილება საჭიროა, – აცხადებს არჩილ ჯაყელი.

დეველოპერული კომპანია „რედკოს" პროექტების მენეჯერი მალხაზ კუნელაური კი განმარტავს, რომ მშენებლობის ნებართვის აღების პროცესში დამატებითი დოკუმენტების მოძიება-შექმნა არაფერს გააძვირებს, თუმცა ბიზნესისთვის რისკებს გაზრდის, თუ გაუგებარი ბიუროკრატიის ფორმას მიიღებს.

– სიახლეებისთვის მზად ვართ და საჭიროა. მშენებლობის ნებართვას ისედაც დრო სჭირდება და ამან კიდევ რომ გაახანგრძლივოს, კარგი არ იქნება. ბიუროკრატიული პროცესები მაქსიმალურად მცირე დროში უნდა დასრულდეს. ზოგადად რეგულაცია, რომელსაც დამატებითი კვლევა და ნებართვა სჭირდება, გარკვეულ დროს მოითხოვს. ბიზნესისთვის რისკებს შექმნის, თუ ეს გაუგებარი ბიუროკრატიის ფორმას მიიღებს.

ფინანსური ნაწილის ერთ-ერთი კომპონენტი არის დროის ეფექტურად გამოყენება. რაც უფრო მოკლე ვადებში დასრულდება პროცესები, მით უფრო ნაკლები ზედმეტი დანახარჯი გვექნება. ცვლილებები მოწესრიგებულად და ეფექტურად უნდა ამოქმედდეს. ვალდებულებების შესრულება დროში თუ გაჭიანურდა, მაშინ ეს ბევრ რამეს გააძვირებს. ამიტომაც ვთვლი, რომ საჭიროა ზუსტი ინფორმირებულობა. ბიზნესმა უნდა იცოდეს, კონკრეტულად რა ევალება, რა ვადებში მიიღებს ამა თუ იმ ნებართვას, რომ სწორი ფინანსური გათვლები გააკეთოს, – აცხადებს მალხაზ კუნელაური.

შეგახსენებთ, რომ მშენებლობების ნებართვის გაცემის წესში შესატანი ცვლილებების დადგენილების პროექტი მთავრობას გუშინდელ სხდომაზე თბილისის მერმა კახა კალაძემ წარუდგინა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სხდომის დაწყებისას აღნიშნა, ცვლილებები დედაქალაქში მშენებლობების პროცესს მოაწესრიგებს.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია ორი ცვლილება, ერთი ის, რომ მშენებლობის ნებართვის მიღების პროცესშივე აუცილებელი იქნება გამწვანების გეგმის წარმოდგენა, იქ არსებული ხეების აღრიცხვა. ასევე, 4000 კვ/მ-ზე დიდი ნაგებობის მშენებლობის ნებართვის მისაღებად საწყის ეტაპზევე იქნება საჭირო სატრანსპორტო კვლევისა და სატრანსპორტო რეგულირების სქემის წარმოდგენაც.

– ეს მნიშვნელოვნად გაუადვილებს ჩვენს დეველოპერებს მუშაობას იმ კუთხით, რომ ბოლო და შემდგომ ეტაპებზე აღარ იქნება საჭირო დამატებითი ცვლილებების შეტანა პროექტირებაში. წინასწარი კონსულტაციები, როგორც მე ვიცი, მიმდინარეობს ასევე ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

# საარსებო მინიმუმი 1.5 ლარით გაიზარდა



მიმდინარე წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, საარსებო მინიმუმი 1.5 ლარით გაიზარდა.

კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, იანვარში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 175 ლარს შეადგენდა, 2017 წლის დეკემბერში კი აღნიშნული მაჩვენებელი 173.5 ლარი იყო.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი გასულ თვეში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 8.7 ლარით გაიზარდა. კერძოდ, 2017 წლის იანვარში ეს მონაცემი 166.3 ლარს შეადგენდა.

საქსტატის მონაცემებით, წინა თვესთან შედარებით, იანვარში 1.3 ლარით გაიზარდა საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი. კერძოდ, წინა თვეში ეს მონაცემი 155 ლარი; ხოლო 2017 წლის დეკემბერში 153.7 ლარი იყო.

რაც შეეხება საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმს, იანვარში ის, დეკემბერთან შედარებით, 2.5 ლარით გაიზარდა და 293.5 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი, წინა წლის იანვრის მონაცემთან შედარებით, 14.6 ლარით არის გაზრდილი.

# სავალუტო ფონდის რეკომენდაციები, რომლებიც საქართველოში ცხოვრების დონეს გააუმჯობესებს




საქართველოში ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით არსებული პოზიტიური ტენდენციები საშუალებას იძლევა, მობილიზდეს ადგილობრივი დანაზოგი, გაიზარდოს კერძო ინვესტიციები და მოხდეს ეკონომიკის დივერსიფიცირება. ეს რეფორმები საჭიროა საშუალოვადიანი ზრდის წასახალისებლად, სამუშაო ადგილების შესაქმნელად და ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად.

ამის შესახებ აღნიშნულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინფორმაციაში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მისიამ საქართველოში ვიზიტი დაასრულა. თბილისში გამართულ შეხვედრებს ორგანიზაციის წარმომადგენლები ვრცელ პრესრელიზში აჯამებენ. ფონდში ამბობენ, რომ ეკონომიკური აქტივობა 2017 წელს მოსალოდნელზე მაღალი იყო და ეს ტენდენცია გრძელდება. მისიის წევრები საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი რეფორმების მნიშვნელობაზე საუბრობენ.

– 2017 წელს ეკონომიკური ვითარება პოზიტიური იყო. ზრდამ 4.8 პროცენტს მიაღწია, რასაც მოხმარებისა და საგარეო მოთხოვნის ზრდამ შეუწყო ხელი. ექსპორტის, ტურიზმისა და ფულადი გზავნილების გადმორიცხვების მატებამ ეკონომიკური აქტივობის მომატება და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-ს 7 პროცენტამდე შემცირება გახადა შესაძლებელი (2017 წლის 3 კვარტლის მონაცემის მიხედვით).

2017 წელს ინფლაციამ სამიზნე მაჩვენებელს გადააჭარბა და 6.7 პროცენტი შეადგინა, რაც ძირითადად საწვავსა და თამბაქოზე აქციზის განაკვეთის ზრდით იყო გამოწვეული. წლის დასასრულს ინფლაციური მოლოდინის ზრდის პასუხად, დეკემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაზარდა პოლიტიკის განაკვეთი 25 საბაზისო პუნქტით 7,25 პროცენტამდე.

2018 წლის იანვარში წლიურმა ინფლაციამ 4.3 პროცენტამდე დაიკლო, როგორც იყო მოსალოდნელი. წინასწარი მონაცემები მიუთითებს, რომ ფისკალური მაჩვენებლები მოსალოდნელზე უკეთესად შესრულდა. ფისკალური დეფიციტი (სსფ-ს პროგრამის განსაზღვრების მიხედვით) მშპ-ს 2.9 პროცენტი იყო, რაც მოსალოდნელზე 0,5 პროცენტით უკეთესი მაჩვენებელია. შემოსავლების მატება განპირობებული იყო სხვადასხვა გადასახადით მიღებული შემოსავლების მეტობით გეგმასთან შედარებით.

მიმდინარე ხარჯები შეზღუდული იყო, ხოლო სახელმწიფო კაპიტალური ხარჯი გაზრდილი. სამომავლოდ, მიმდინარე ხარჯების შეზღუდვა და შემოსავლების მობილიზების გაუმჯობესება კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფო კაპიტალური ინვესტიციების განსახორციელებლად და ინფრასტრუქტურული გამოწვევების შესამცირებლად, – აღნიშნულია ფონდის განცხადებაში.

სსფ-ს მისიაში მიაჩნიათ, რომ სტრუქტურული რეფორმების მიმდინარეობა საქართველოში მაღალ, მდგრად და მეტად ინკლუზიურ ზრდას შეუწყობს ხელს.

– საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა ნაბიჯები საქართველოს შემოსავლების სამსახურის გაძლიერების, კაპიტალის ბაზრების განვითარების ხელშეწყობისა და ფინანსური უსაფრთხოების სისტემების დახვეწის მიმართულებით. პარლამენტს წარედგინა კანონპროექტები კერძო-საჯარო პარტნიორობისა და საპენსიო რეფორმის შესახებ. ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით არსებული პოზიტიური ტენდენციები საშუალებას იძლევა, მობილიზდეს ადგილობრივი დანაზოგი, გაიზარდოს კერძო ინვესტიციები და მოხდეს ეკონომიკის დივერსიფიცირება. ეს რეფორმები საჭიროა საშუალოვადიანი ზრდის წასახალისებლად, სამუშაო ადგილების შესაქმნელად და ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად, – აცხადებენ სავალუტო ფონდში.

საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები თბილისს „მეოთხე მუხლის კონსულტაციებისა" და სსფ-ს მიერ მხარდაჭერილი პროგრამის მეორე მიმოხილვის ჩასატარებლად აპრილშიც ესტუმრებიან.

# 500 ათას ლარამდე ბრუნვის საწარმო მცირე ბიზნესად ჩაითვლება



მეწარმეობის განვითარება ჩვენთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი პრიორიტეტი, განსაკუთრებით – მცირე მეწარმეობის. პარლამენტში მთავრობის დამტკიცების დროს, სიტყვით გამოსვლისას, მე ვისაუბრე, რომ ჩვენ ვიწყებთ მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მეორე ტალღას, მას შემდეგ, რაც წარმატებით ხორციელდება პროგრამები – „აწარმოე საქართველოში", სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებული პროგრამები – „დანერგე მომავალი" და ა.შ. ჩვენ შემოვდივართ ახალი ინიციატივით და მე მინდა, მადლობა გადავუხადო მამუკა ბახტაძეს, რომელმაც ძალიან საინტერესო საკანონმდებლო პაკეტის ინიცირება წარმოადგინა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე.

ახალი საგადასახადო ინიციატივა ითვალისწინებს მცირე მეწარმეებისათვის დაბეგვრის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის დაწესებას. კერძოდ, მცირე მეწარმეებისთვის 5-ჯერ ვამცირებთ ბრუნვის გადასახადს და 5%-ის ნაცვლად იქნება 1%-იანი ბრუნვის გადასახადი. ამასთან მცირე ბიზნესად დღეს თუ ითვლება 100.000 ლარამდე ბრუნვის მქონე საწარმო, ამ კატეგორიაში 500.000 ლარამდე ბრუნვის საწარმო ჩაითვლება და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არის მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი შვება მცირე მეწარმეობით დაკავებული ადამიანებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი შემცირება საგადასახადო ტვირთის და, რა თქმა უნდა, წახალისება ახალი მეწარმეებისა, რომელთაც სურთ საქმიანობის წამოწყება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მეწარმეები აიტაცებენ ამ ინიციატივას, გაჩნდება ახალი საწარმოების შექმნის ინიციატივები და ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ახალი ჟანგბადი მცირე მეწარმეებისთვის, მათი საწარმოების განვითარებისთვის.

# 238.563 მოქალაქე მოვალეთა რეესტრში მოსახლეობის 6%-ს საკუთარი ქონების განკარგვა აღარ შეუძლია



საჯარო რეესტრის ოფიციალურ გვერდზე, მოვალეთა რეესტრის კატეგორიაში, საქართველოს 238.563 მოქალაქე ფიქსირდება. მოვალეთა რეესტრი არის ფულადი მოთხოვნის აღსრულების უზრუნველყოფამდე წარმოებული საშუალება, სადაც პირი აღებული ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხვდება. ისინი „გადახდისუუნარო" პირებად მიიჩნევიან და მათ სახელზე რეგისტრირებული ანგარიშები და ქონება დაყადაღებას ექვემდებარება.

აღნიშნულ საკითხს საადვოკატო ბიუროOK&CG-ის დამფუძნებელი ოთარ კაჭკაჭაშვილი გამოეხმაურა. იურისტს მიაჩნია, რომ ციფრი, რომელიც მოვალეთა რეესტრში ფიქსირდება, საგანგაშოდ მაღალია და მის შესამცირებლად, სახელმწიფომ რიგი ღონისძიებები უნდა გაატაროს.

– 238.563 „გადახდისუუნარო" ადამიანი საქართველოსნაირი ქვეყნისთვის ძალიან საგანგაშოა. საქმე ის არის, რომ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 3.7 მლნ-ს შეადგენს, ანუ, მთლიანი მოსახლეობის თითქმის 6% მოვალეთა რეესტრშია დაფიქსირებული. უფრო უხეშად რომ ვთქვათ, გამოდის, რომ ყოველ მეორე ოჯახში არის „გადახდისუუნარო" ადამიანი, – ამბობს ოთარ კაჭკაჭაშვილი.

***– რაზე მეტყველებს ეს რიცხვი? თქვენი აზრით, რა ფაქტორებით არის გამოწვეული ასეთი მაჩვენებელი?***

– როდესაც მოვალეთა რეესტრში ჩანაწერების რაოდენობა მატულობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ცხოვრება ძვირდება და გადახდისუუნარო ადამიანების რაოდენობაც იზრდება. ეს რიცხვი, პირველყოვლისა, სახელმწიფოში არსებულ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე მეტყველებს – ანუ, ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონია და შესაბამისად, მოქალაქეებს ვალის გადახდა უჭირთ.

მეორე საკითხია ის საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც სესხის გამცემი ორგანიზაციები უწესებენ მოქალაქეებს. სამწუხაროდ, პროცენტი არის გაუგონრად მაღალი, განსაკუთრებით – ონლაინ და კერძო გამსესხებლების შემთხვევაში. ის პირობები, რასაც სესხის გამცემი ორგანიზაციები მოქალაქეებს უწესებენ, სასწრაფოდ შესაცვლელია და ამაზე ეროვნულმა ბანკმა უნდა იზრუნოს. მართალია, მოქალაქეები საკუთარი ნებით იღებენ ამ სესხს და სესხის პირობებსაც იცნობენ, მაშინ, როცა მოქალაქე უკიდურესად გაჭირვებულია და სესხი სასიცოცხლო პირობებისთვის სჭირდება, მზად არის, ამ ტიპის გარიგებებსაც მოაწეროს ხელი, რაც შემდგომში, ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში აყენებს მას.

***– გამოსავალი რა არის?***

– გამოსავალი არის ის, რომ ეროვნულმა ბანკმა უნდა გადახედოს სესხების საპროცენტო განაკვეთსა და დაწესებულ პირობებს. ეროვნულმა ბანკმა რეალური და ქმედითი ღონისძიებები უნდა გაატაროს, რითაც შემცირდება საპროცენტო განაკვეთი და დაწესდება შეღავათიანი პირობები, რაც მსესხებელთა მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს.

შეგახსენებთ, რომ 2008 წლის 15 ივლისს „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, აღსრულების ბიუროს ერთ-ერთ ფორმად დაემატა პირის რეგისტრაცია მოვალეთა რეესტრში. მოვალეთა რეესტრი არის იმ მონაცემთა ერთობლიობა, სადაც რეგისტრირებულია ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, აგრეთვე ყველა სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი. გვერდზე მოქალაქის სახელის, გვარის ან პირადი ნომრის/ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით შეგიძლიათ გაარკვიოთ, ფიქსირდება თუ არა ის „გადახდისუუნარო" პირთა სიაში.

რეესტრში მოხვედრილი ადამიანის მიმართ იძულებითი აღსრულება 2010 წლის 1-ლი იანვრიდან დაიწყო. მოვალეთა რეესტრში პირის რეგისტრაციის შემდეგ, ამ პირს ეზღუდება მის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი რეგისტრაციას დაქვემდებარებული ქონების განკარგვა. კერძოდ, მოვალე პირი ვერ განკარგავს მის სახელზე დაქვემდებარებული ქონებას. 2017 წლის 20 ნოემბრისთვის აღსრულების ეროვნული ბიუროს მოვალეთა რეესტრში 230.223 ჩანაწერი იყო, ბოლო სამ თვეში კი მათი რიცხვი 8.340 ადამიანით გაიზარდა.

# დოდო გუგეშაშვილი: „მალხაზ მაჩალიკაშვილი ჩემი ძმა და ჭირისუფალია, ისევე, როგორც მისი ჭირისუფალი მე ვარ“

დოდო გუგეშაშვილს შვილს გარდაცვალების გამო თემირლან მაჩალიკაშვილის მამამ, მალხაზ მაჩალიკაშვილმა მიუსამძიმრა. მალხაზ მაჩალიკაშვილი საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე იმყოფებოდა, სადაც დოდო გუგეშაშვილის შვილი, ნოდარ გუგეშაშვილი, დაკრძალეს.



– ჩვენ ძმები ვართ, ორივე ამ ქვეყნის შვილები ვართ, გულით, სისხლითა და ხორცით. მალხაზი საქართველოს პატრიოტია, ეს კაცი ჩემი ძმა და ჭირისუფალია, ისევე, როგორც მისი ჭირისუფალი მე ვარ. ამ ყველაფერს იმიტომ ვამბობ, რომ კუდების გამობმა მოინდომეს, როდესაც ხედავდნენ, რომ დღე და ღამე საავადმყოფოში ვიყავი თემირლანის გამო. ეს მაგარი კაცია, კბილებით ეჭირათ ამას და პანკისის ხეობის მცხოვრებლებს საქართველოს ის ნაწილი და ხვალაც და ზეგაც დაიჭერენ და მტერს არ შემოახედებენ საქართველოში, – განუცხადა დოდო გუგეშაშვილმა ჟურნალისტებს მალხაზ მაჩალიკაშვილზე საუბრისას.

# თბილისში ახალგაზრდა კაცი საცხოვრებელი კორპუსის სახურავიდან გადმოხტა და გარდაიცვალა

თბილისში, აფრიკის დასახლებაში, ახალგაზრდა მამაკაცი 9-სართულიანი კორპუსის სახურავიდან გადმოხტა და ადგილზე გარდაიცვალა.




როგორც „ნიუპოსტს“ შს სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# დუშეთში ქმარმა ცოლი მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა

დუშეთში, სოფელ ბოდერნაში, 30 წლის ქალი მოკლული იპოვეს. წინასწარი ინფორმაციით, ის მეუღლემ მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა.

ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელობის მიზეზი ეჭვიანობა გახდა. გარდაცვლილი ცოლ-ქმარი სოფელ არაგვისპირში ცხოვრობდა. მომხდარზე გამოძიება მკვლელობისა და თვითმკვლელობის მუხლებით მიმდინარეობს.

ცოლ-ქმარს სამი შვილი ჰყავს.

# დაჭრა ბათუმში

ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩაზე, გუშინ, 15 თებერვალს, ახალგაზრდა კაცი დაჭრეს. ის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

მედიკოსების თქმით, კაცს ჭრილობა საჯდომის არეში აქვს მიყენებული. რა გახდა მომხდარის მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია. შსს გამოძიებას სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით აწარმოებს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.




# ქუთაისის №2 სამშობიარო სახლის დაკავებული დირექტორის საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში გაგრძელდება



ქუთაისის ნომერ მეორე სამშობიარო სახლის დაკავებული დირექტორის ირაკლი მერკვილაძის საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში გაგრძელდება. ირაკლი მერკვილაძის ადვოკატის ალექსანდრე თათელიშვილის განცხადებით, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდათ და მიმდინარეობს სააპელაციო სარჩელის მომზადება.

– გადაწყვეტილება უკვე ჩაგვბარდა და ახლა ვმუშაობთ, რომ სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივროთ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან ეს განაჩენი არის უსამართლო და ბევრ კითხვას აჩენს. მე მქონდა კონსულტაცია ჩემი დაცვის ქვეშ მყოფთან და კვლავ რჩება ეჭვები, რომ მოსამართლეზე ზეწოლა მოხდა, ამაზე ვაპირებთ პრესკონფერენციის გამართვას და დეტალებზე შემდგომ ვისაუბრებთ, – განაცხადა ალექსანდრე თათელიშვილმა.

დაცვის მხარეს სააპელაციო სასამართლოში სარჩელის შესატანად ვადა 26 თებერვლამდე აქვს.

შეგახსენებთ, რომ სასამართლო პროცესი 5 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. 2013 წელს გარდაცვლილი 22 წლის ვიოლეტა მატინოვას დედა აცხადებს, რომ ექიმ ირაკლი მერკვილაძის უყურადღებობას მისი შვილის სიკვდილი მოჰყვა. ირაკლი მერკვილაძე მიმდინარე წლის 26 იანვარს დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობას გულისხმობს.

# ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში სუნელების დამზადებისთვის ერთი მეწარმე პასუხისგებაში მიეცა

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადების ფაქტზე ბრალდებულის სახით ერთი მეწარმე პასუხისგებაში მისცეს.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგამაოძიებო სამსახურის პრესსამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ქალაქ თბილისში მდებარე ერთ-ერთ საამქროში ამზადებდა სხვადასხვა დასახელების სუნელს, რისთვისაც იყენებდა მცენარეებსა და საღებავებს, მათ შორის არასაკვები დანიშნულების აზო-საღებავს „სუდან 1“-ს, რომელიც საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# შსს: „უკრაინიდან დეპორტირებული პაპუნა უგრეხელიძე „კრიმინალური ავტორიტეტი“ არ არის“



შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პაპუნა უგრეხელიძე, რომლის დეპორტაციაც უკრაინიდან განხორციელდა, „კრიმინალური ავტორიტეტი“ არ არის და, შესაბამისად, საქართველოში შემოსვლის შემდეგ მისი დაკავება არ მომხდარა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუმარტეს, ქართველის დეპორტაციის მიზეზი საბუთებში არსებული ხარვეზები იყო. შსს-ში უარყოფენ ინფორმაციას, რომ პაპუნა უგრეხელიძე „კანონიერი ქურდია“.

უკრაინულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურმა ქართველი „კრიმინალური ავტორიტეტი“ კიევში დააკავა და იძულების წესით საქართველოში დააბრუნა.

# რუსთავში სასურსათო მაღაზია გაძარცვეს

რუსთავში, ლეონიძის ქუჩაზე, სასურსათო მაღაზია გაძარცვეს. როგორც თვითმხილველები ყვებიან, ახალგაზრდა მამაკაცმა მაღაზიის სალაროდან თანხა გაიტაცა, რის შემდეგაც მძარცველი მიმალვას ტაქსით შეეცადა, თუმცა სამართალდამცავებმა მისი დაკავება მალევე შეძლეს.




როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 178-ე მუხლით არის აღძრული.

# თურქმა მესაზღვრეებმა საქართველოს 3 მოქალაქე დააკავეს

თურქმა მესაზღვრეებმა სარფის საბაჟოზე საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის მცდელობისას საქართველოს სამი მოქალაქე – ერთი მამაკაცი და 2 ქალი დააკავეს. ისინი თურქეთიდან საქართველოში მომავალი ავტობუსის სამალავში აღმოაჩინეს. სამართალდამცავების ინფორმაციით, აღნიშნულ პირებს თურქეთში შესვლა აკრძალული ჰქონდათ, თუმცა მათ ქვეყანაში გადასვლა მაინც მოახერხეს, ახლა კი იმავე უკანონო გზით სამშობლოში დაბრუნებას ცდილობდნენ.




ადგილობრივმა პროკურატურამ მათი საქართველოში დეპორტაცია მოახდინა.

# „როსტომაშვილი ჩემს შვილს ციხეში სცემდა და ფიზიკურად სწორედ ამიტომ გაუსწორდა“

იუმორისტ დავით როსტომაშვილზე თავდასხმაში ბრალდებულ ბექა კირვალიძის დედა აცხადებს, რომ როსტომაშვილი პენიტენცია-



რულ დაწესებულებაში მუშაობისას მის შვილს სცემდა და 2017 წლის 14 ივნისს კირვალიძე როსტომაშვილს შურისძიების მოტივით დაესხა თავს. კირვალიძის დედა ითხოვს, მისი შვილის მიმართ წარდგენილი ბრალიდან ყაჩაღობის მოტივი ამოიღონ.

მსახიობ და იუმორისტ დავით როსტომაშვილზე თავდასხმის საქმეზე გუშინ სასამართლოში მსახიობის შვილი ქეთევან როსტომაშვილი დაიკითხა. მან სასამართლოს ჩვენებას დახურულ სასამართლო სხდომაზე მისცა. ქეთევან როსტომაშვილი 2017 წლის 14 ივნისს, თავდასხმისას მამამისთან ერთად იმყოფებოდა. დავით როსტომაშვილზე თავდასხმის საქმეზე პასუხისგებაში სამი პირი – ბექა კირვალიძე, ზურაბ ქუთელია და არტემ აგაჯანოვი არიან მიცემული. მათ ბრალად დაყაჩაღების მიზნით მსახიობზე თავდასხმა ედებათ.

# ხელვაჩაურში 12 წლის მოზარდზე სავარაუდო სექსუალური ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

ხელვაჩაურში 12 წლის მოზარდზე სავარაუდო სექსუალური ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. არსებული ინფორმაციით, აღნიშნულ დანაშაულში მეზობელი ფიგურირებს.




როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც არასრულწლოვანზე სექსუალურ კავშირს გულისხმობს, რომელიც თავისუფლების აღკვეთას ერთიდან სამ წლამდე ითვალისწინებს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ჩინელი ქალი რენტგენის აპარატში შეძვრა

ჩინეთში ქალმა სადგურში ნივთების გასაშუქებელ აპარატში შეძრომა საკუთარი ჩანთის გამო გადაწყვიტა. ინციდენტი ვიდეოზე იქნა გადაღებული და ის ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.



ავტობუსის მგზავრმა ქალბატონმა კონვეიერზე მოათავსა ჩანთა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზით ხელჩანთის იმავე კონვეიერზე დადებაზე უარი განაცხადა. სადგურის თანამშრომლების მოთხოვნის შემდეგ, ჩანთა რენტგენის კამერაში მოეთავსებინა, ქალი ანერვიულდა, ოთხზე დადგა და კამერაში ისე შეძვრა.

სადგურის თანამშრომლებს მისი შეჩერება არ უცდიათ. გამოცემაში ვარაუდობენ, რომ ხელჩანთაში შესაძლოა მსხვილი თანხა იდო. მოგვიანებით სადგურის ადმინისტრაციამ მგზავრები გააფრთხილა, რომ არ ღირს რენტგენის აპარატში შეძრომა, ვინაიდან მისმა გამოსხივებამ შესაძლოა მათ ჯანმრთელობას ზიანი მიაყენოს.

## შუქნიშნის პატარა კაცუნებს შეყვარებული გამოუჩნდათ

ტაივანში ქვეითთა შუქნიშნებზე პატარა კაცუნებს შეყვარებული მოუძებნეს. ამ ინფორმაციას ადგილობრივი გამოცემა ტაივან ნიუსი ავრცელებს.



წმინდა ვალენტინის დღესთან დაკავშირებით კუნძულის პინდუნის ოლქში ახალი დიზაინის პირველი 40 შუქნიშნის გახსნის საზეიმო ღონისძიება გაიმართა. მათზე ცალ მუხლზე დაჩოქილი წითელი კაცუნა ხელს სთხოვს მეგობარ გოგონას, ხოლო მწვანეზე კაცუნა გოგონასთან ხელჩაკიდებული მიდის.

რეგიონის ხელისუფლება წლის ბოლოსთვის მსგავსი შუქნიშნებით მთელი ოლქის აღჭურვას აპირებს. რეგიონის მეთაურ პენ მენ-ანიას აზრით, ახალი დიზაინი ადრინდელზე არა მხოლოდ უფრო მიმზიდველია, არამედ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ პინდუნი სიყვარულით სავსე ადგილია.

## ხანდაზმულმა ამერიკელმა ცოლს ერთი და იგივე ნივთი 39-ჯერ აჩუქა

ამერიკელი მამაკაცი უკვე 39 წელია, თავის საყვარელ ცოლს ერთსა და იმავე კანფეტების კოლოფს ჩუქნის და ამას მხოლოდ ეკონომიის თვალსაზრისით არ აკეთებს. ოჯახური ტრადიციის ისტორიაზე მან ერთ-ერთ ამერიკულ ტელეარხთან ისაუბრა.



რონ და დონა კრამერებმა ამერიკის ნიუ-მეხიკოს შტატის ქალაქ ალბუკერკედან ერთმანეთი 1979 წელს გაიცნეს. მამაკაცი დაზღვევის აგენტად მუშაობდა. მან მომავალი შეყვარებულის კარზე დააკაკუნა, რათა საკუთარი მომსახურება შეეთავაზებინა. ამის შემდეგ დაიწყო მათი ურთიერთობა და პირველივე ვალენტინობის დღეს რონმა გოგონას მისი საყვარელი კანფეტების კოლოფი აჩუქა – შავი შოკოლადი კრემის შიგთავსით.

მაღაზიაში მამაკაცს უთხრეს, რომ თუ ის კოლოფს შეინახავდა, მომავალ წელს მას ისევ კანფეტებით აუვსებდნენ და შეფუთვაში ფულის გადახდა აღარ დასჭირდებოდა. მამაკაცი სწორედ ასე იქცეოდა მომდევნო 38 წლის განმავლობაში.

2014 წელს დონას დემენცია დაუდგინეს, ხოლო 2015 წლის აგვისტოში ის მოხუცებულთა სახლში გადაიყვანეს, ვინაიდან დამოუკიდებლად ველარაფერს აკეთებდა.

– ის დღე, როდესაც ერთმანეთს დაგვაშორეს, ყველაზე სევდიანი იყო ჩემს ცხოვრებაში, – აღნიშნა კრამერმა.

მან იცის, რომ შესაძლოა ცოლმა ის ნებისმიერ დღეს დაივიწყოს და ამიტომ ცდილობს, რაც შეიძლება მეტი დრო გაატაროს მის გვერდით და ყველა ოჯახური ტრადიცია დაიცვას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სროლა ანბ-ს შტაბბინასთან



ანბ, ანუ ეროვნული უსაფრთხოების ასამბლეა, აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსთან არსებული სტრუქტურაა. მისი ამოცანებია როგორც აშშ-ის მთავრობის, ასევე საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ტერორისტული ორგანიზაციების, დაჯგუფებებისა და უცხო სახელმწიფოების ან მათი აგენტების მიერ აშშ-ის წინააღმდეგ მტრული განზრახვების თაობაზე ინფორმაციების მოპოვება, იმ ძალების გამოვლენა, რომლებიც აშშ-ის ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრებიან.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ანბ-ს შტაბბინასთან ატეხილი სროლა უდავოდ საგანგებო შემთხვევად უნდა ჩაითვალოს.

სროლა მოხდა ერთ-ერთ საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან, რომლის გავლის შემდეგ ვიზიტორი ანბ-ს შენობის ტერიტორიაზე ხვდება. ავტომობილი, რომლის დანიშნულებაც საგზაო-სარემონტო სამუშაოების ჩატარებაა, ანბ-ს რკინის ჭიშკარს შეასკდა. იქ მყოფმა დაცვამ ცეცხლი გახსნა.

შედეგად ერთი ადამიანი დაიჭრა.

მომხდართან დაკავშირებით დაკავებულია სამი პირი. ისინი ანბ-ს შტაბბინაზე თავდასხმაში არიან ეჭვმიტანილნი. მათი ვინაობა ჯერჯერობით არ ხმაურდება.

## „ვიეტნამმა ამერიკული სინდრომი დაძლია“



შედგა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპისა და ვიეტნამის პრეზიდენტ ჩან დაი კუანგის სატელეფონო საუბარი. მისი ძირითადი თემა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა იყო.

ჩან დაი კუანგმა აღნიშნა, რომ ვიეტნამმა ამერიკული სინდრომი საბოლოოდ დაძლია. ანტიამერიკული განწყობილებები, რომლებიც ადრე ძალიან ძლიერი იყო, გაქრა.

– ახლა ჩვენ აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობა გვსურს, – აცხადებს ჩან დაი კუანგი.

განწყობილებების ესოდენ კარდინალური ცვლილება გეოპოლიტიკურმა რეალობამ განაპირობა. რუსეთის დასუსტება და ჩინეთის გაძლიერება ვიეტნამელთა შეშფოთებას იწვევს. ვიეტნამიც ძირითად იმედებს ახლა აშშ-ზე ამყარებს.

## დიდი ბრიტანეთი რუსეთს ბრალს სდებს



დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ტარიქ ახმადმა რუსეთი კიბერშეტევაში დაადანაშაულა.

– რუსებმა გაუშვეს ვირუსი, რომელსაც ევროპის რიგი კომპანიების პარალიზება შეეძლო, – თქვა მან.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბრალდება უარყო.

## სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი გადადგა



სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი ზუმა გადადგა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მმართველმა ნაციონალურმა კონგრესმა ის კორუფციაში დაადანაშაულა.

ზუმა ერთხანს ჯიუტობდა. მაშინ მას ულტიმატუმი წაუყენეს: ან გადადგომა, ან მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. ზუმაც გადადგა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ნიკოლას დე ხესუს კრუზს ბრალი 17 ადამიანის განზრახ მკვლელობის გამო წაუყენეს

ნიკოლას დე ხესუს კრუზს, რომელმაც ფლორიდის შტატის ქალაქ პარკლენდის ერთ-ერთ სკოლაში სროლა დაიწყო, რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ ბრალი 17 ადამიანის განზრახ მკვლელობის გამო წაუყენეს.



ფლორიდის შტატის ქალაქ პარკლენდის ერთ-ერთ სკოლაში სროლის შედეგად სკოლის 17 მოსწავლე დაიღუპა და 20 ადამიანი დაშავდა. ამ დროისთვის საავადმყოფოებში 14 დაშავებული რჩება. დანაშაული სკოლის ყოფილმა მოსწავლემ, 19 წლის ნიკოლას დე ხესუს კრუზმა ჩაიდინა.




## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ლივერპული მეოთხედფინალშია. პსჟ-მ შიშით წააგო




**<u>რეალი-პსჟ 3:1</u>**

**მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ**

0:1 რაბიო (33), 1:1, 2:1 რონალდუ (45პ, 83), 3:1 მარსელო (86)

**რეალი:** ნავასი, ნაჩო, ვარანი, რამოსი, მარსელო, მოდრიჩი, კაზემირო (ვასკესი 79), კროოსი, ისკო (ასენსიო 79), ბენზემა (ბეილი 68), რონალდუ

**პსჟ:** არეოლა, ალვეში, მარკინოსი, კიმპემბე, ბერჩიჩე, ვერატი, ლო ჩელსო (დრაქსლერი 85), რაბიო, მბაპე, კავანი (მუნიე 66), ნეიმარი

ალბათ ის შემთხვევაა, როდესაც მწვრთნელი თავის გუნდს ვერ აკმაყოფილებს. პსჟ შესანიშნავი გუნდია როგორც ფეხბურთელებით, ასევე – შესაძლებლობებით. პარიზულ გუნდს შეუძლია რეალის დამარცხება, ისევე, როგორც გასულ წელს ბარსელონა დაამარცხა, მაგრამ, როდესაც მწვრთნელად უნაი ემერია, ორი მატჩის ჯამში ამის გაკეთება ცოტა რთულია – პსჟ-ს მწვრთნელი მშიშარა ფეხბურთს ათამაშებს გუნდს.

ასე იყო ბარსას შემთხვევაში, როდესაც 4:0-ის შემდეგ 6:1 წააგო და რაღაც „საოცრება“ მოიფიქრა რეალთან. პსჟ ჩინებულ ფეხბურთს აჩვენებს და კარგ ფორმაშია, მაშინ, როდესაც მადრიდელებს კრიზისი აქვთ.

ემერის გუნდი მადრიდში დაწინაურდა, მაგრამ ამის შემდეგ პსჟ ფრთხილად ათამაშდა. მართალია, კონტრშეტევებზე თამაშის უფლება ყველა გუნდს აქვს, მით უფრო მაშინ, თუ ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ ისეთი სიფრთხილეც, რომ თავდამსხმელი კავანი მოხსნა და მის ნაცვლად კიდევ ერთი მცველი შეუშვა მოედანზე, კონტრშეტევებისთვისაც კი „საშიშია“.

ორი მარჯვენა მცველი და სწორედ ამ ფლანგიდან გაუშვა პსჟ-მ მეორე და მესამე გოლები. მანამდე რონალდუმ პენალტი გაიტანა.

ვფიქრობთ, ემერისთან ერთად პსჟ-ს მიზნის მიღწევა გაუჭირდება, თუნდაც რეალის ბარიერი დაძლიოს...

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – კრიშტიანუ რონალდუ

პორტუგალიელი ფეხბურთელი მთელი მატჩის განმავლობაში მონდომებული იყო. ხშირად იღებდა თამაშს საკუთარ თავზე, იხსნებოდა კარგად, ამწვავებდა, კარში ყველა მანძილიდან და პოზიციიდან ურტყამდა, მართალია, ყოველთვის შედეგიანად ვერა, მაგრამ... პორტუგალიელები საბოლოოდ 2 გოლით დასაჩუქრდნენ და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გუნდის გამარჯვებაში.

**ზინედინ ზიდანი:**

– გადაწყვეტილი ჯერ კიდევ არაფერია. მომდევნო ეტაპზე გასვლისთვის კიდევ 90 წუთი უნდა ვიბრძოლოთ. ბედნიერები ვართ, რომ კარგად მოგება მოვახერხეთ. ჩვენი გულშემატკივრები გუნდს მთელი მატჩის განმავლობაში მხარში ედგნენ, მაგრამ 3 კვირის შემდეგ საბრძოლველად კიდევ ერთხელ გავალთ. ვიცით, რომ ძალიან იოლი არ იქნება... შემადგენლობაში ისკო დავაყენე, რათა ბურთის ფლობისას უფრო მეტი ხარისხისთვის მიგვეღწია. მოედნის ცენტრში ერთი მოთამაშით უპირატესობა გვქონდა. ისკომ დიდებულად ითამაშა. მან საბოლოო შედეგში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. თავიდან ბოლომდე, მთლიანად გუნდმა კარგ დონეზე იასპარეზა.

**უნაი ემერი:**

– ვერ ვიტყოდი, რომ მსაჯის გადაწყვეტილებებს საბოლოო როლი არ შეუსრულებია – მან რამდენიმე არაერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღო. მატჩის დებიუტში უკეთ გამოვიყურებოდით, მაგრამ სადავო პენალტის მერე მათ ანგარიში გაგვითანაბრეს, ხოლო მეორე გოლი დაუფიქსირებელი ჯარიმის მერე გაგვიტანეს... ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ შედეგი ჩვენთვის არასასურველი აღმოჩნდა. რამოსის მიერ ხელით თამაშს მატჩის მიმდინარეობის შეცვლა შეეძლო. სწორედ ასეთი სიტუაციებისთვის მსაჯის ვიდეოასისტენტის სისტემაა საჭირო. ამის მიუხედავად, თვითონ მსაჯსაც დარღვევა უნდა დაენახა და დაეფიქსირებინა... პარიზში მდგომარეობის გაუმჯობესება შეგვეძლება. ჩვენ წაგებას არ ვიმსახურებდით. რეალი გასული სეზონის ჩემპიონია, მაგრამ შეგვიძლია მათი გავლა.

**<u>პორტუ-ლივერპული 0:5</u>**

**პორტუ. დრაგაუ**

0:1 მანე (25), 0:2 სალაჰი (29), 0:3 მანე (53), 0:4 ფირმინო (69), 0:5 მანე (85)

**პორტუ:** ჟოზე სა, რიკარდუ, მარკანო, რეიესი, ალექს ტელესი, მარეგა, სერჟიუ ოლივეირა, ერერა, ოტავიო (კორონა 46), ბრაჰიმი (უორისი 62), სოარეში (პასიენსია 73)

**ლივერპული:** კარიუსი, ალექსანდერ-არნოლდი (გომესი 79), ლოვრენი, ვან დეიკი, რობერტსონი, მილნერი, ჰენდერსონი (მატიპი 75), ვეინალდუმი, სალაჰი, ფირმინო (ინგზი 80), მანე

ინგლისურმა კლუბებმა თავიანთი სიტყვა თქვეს ევროპაში: ტოტენჰემმა 2:2 რომ ითამაშა სტუმრად იუვენტუსთან, შედარებით „მოკრძალებულია“ სიტისა და ლივერპულის მოგებებთან.

იურგენ კლოპის გუნდმა არ დაინდო პორტუ და საკუთარ „დრაგაუზე“ შეარცხვინა. როდესაც ლივერპული თავის თამაშს იჭერს, მისი შეჩერება შეუძლებელია. ამის საზომად მოსკოვის სპარტაკი და სლოვენიური მარიბორი არ გამოდგება, რომლებმაც თავიანთ თავზე იწვნიეს ეს ყველაფერი, მაგრამ პორტუ ცოტა უფრო სხვა განზომილებაა, ამასთან – შინაურ კედლებში.

თავიდან ისე ჩანდა, რომ მატჩი დაძაბული იქნებოდა. მასპინძლებმა აქტიურად ჩაატარეს დებიუტი, მაგრამ შემდეგ ტერიტორია მეტოქეს დაუთმეს და ლივერპულმაც გაილაღა. მე-20 წუთამდე მერსისაიდელებმა ვერაფერი ღირებული ვერ შექმნეს პორტუს კართან. შემდეგ კი კლოპის ბიჭებმა „სისხლის სუნი“ იგრძნეს და მომენტს მომენტზე ქმნიდნენ. ტაიმის შუაწელში, 4-წუთიან მონაკვეთში, მანემ და სალაჰმა 2 გოლი გაიტანეს. ტაიმის ბოლომდე პორტუს ერთი შანსი ჰქონდა, მაგრამ გაანიავა, ხოლო ანტრაქტის შემდეგ საერთოდ მომენტი არ ჰქონიათ, ლივერპულს კი – პირიქით.

53-ე წუთზე მანემ სხვაობა სამამდე გაზარდა, მაგრამ „წითლები“ ამით არ დაკმაყოფილდნენ და მათი შეჩერებაც რთული იყო. „დრაგაუს“ ტაბლოზე თავისი გვარი ფირმინიომაც აანთო, ხოლო მანემ სულაც ჰეთ ტრიკი გაახერხა და ლივერპულს მეოთხედფინალში გასვლა გარანტირებული აქვს.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – სადიო მანე

ლივერპულელთა მთელი გუნდის გამოყოფა შეიძლება, რადგან ძალიან ორგანიზებულად თამაშობდნენ. თუმცა, ყველას ვერ დავასახელებთ და გამოვყოფთ მანეს, რომელმაც ჰეთ ტრიკი შეასრულა. სენეგალელი ფეხბურთელის გოლები მნიშვნელოვანი იყო. ანგარიშიც მან გახსნა, შემდეგ პრაქტიკულად გადამწყვეტი გოლი გაიტანა, ხოლო ბოლოს სულაც დაასამარა პორტუგალიელები.

**სერჟიუ კონსეისაო:**

– დებიუტში თანაბარი თამაში იყო. ოტავიოს გოლის გატანაც შეეძლო. მერე ბურთი დავკარგეთ და გოლიც გავუშვით. რიგი შეცდომები დავუშვით, რაც „ლივერპულმა“ არ გვაპატია. პირველი გოლის შემდეგ ანგარიშის გათანაბრება ვცადეთ, მაგრამ მეორე გოლი მივიღეთ, რადგან ძალიან პასიურად ვირჯებოდით. მეორე გოლის შემდეგ ჩვენი მდგომარეობა უიმედო გახდა.

**იურგენ კლოპი:**

– შეიძლება ითქვას, იდეალურად ვითამაშეთ. ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ მოწინააღმდეგე. ეს მოვახერხეთ. ამის მიღწევა, როგორც წესი, ძნელია. დიდი სამუშაო შევასრულეთ. ბიჭებმა ფეხბურთისგან სიამოვნება მიიღეს, რაც უმთავრესია. შესვენებაზე მათ ვუთხარი, გადამწყვეტი მომენტი ის იყო, როდესაც სალაჰმა მოედნის ცენტრში ბურთი მოიპოვა. მაშინ 2:0-ს ვიგებდით და საქმისადმი ასეთი მიდგომა სამაგალითოა. ყველა ჩემმა ფეხბურთელმა შესანიშნავად იასპარეზა. სხვანაირად ასეთი შედეგი არ მიიღწევა. რობერტსონმა დიდებული მატჩი ჩაატარა, მანე საუკეთესო იყო, ხოლო ფირმინომ კოლოსალური სამუშაო შეასრულა.

# საქართველოს თასის სამი ნახევარფინალისტი ცნობილია

**<u>რუსთავი-დელტა 80:74</u>**

**(23:25, 22:12, 17:11, 18:26)**




საქართველოს თასის მეოთხედფინალში რუსთავმა თანარეგიონელ მარნეულის დელტას უმასპინძლა და 80:74 დაამარცხა. გათამაშების ფორმატის თანახმად, თასის გათამაშება პლეი ოფის სისტემით, სერიების გარეშე იმართება და შემდეგ ეტაპზე გასასვლელად 1 მატჩის მოგება კმარა. ამ მოგებით რუსთაველები ნახევარფინალში გავიდნენ.

რუსთავმა საბოლოოდ 6 ქულით იმარჯვეს, თუმცა შეხვედრის ბოლო პერიოდი სულაც არ ყოფილა დაძაბული. მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე მასპინძლები 20 ქულით – 80:60 იგებდნენ და შეხვედრის ბედიც გადაწყვეტილი გახლდათ. დარჩენილ დროში რუსთავის მოთამაშეებს ქულაც კი არ მიუთვლიათ, თუმცა გამარჯვებამდე მაინც მივიდნენ. ის 14 ქულა, რაც მარნეულელებმა დასკვნით 5 წუთში ჩააგდეს, მხოლოდ „ღირსეული“ ანგარიშით დამარცხებას გასწვდა.

არადა, დელტამ თამაში კარგად დაიწყო და მთელი პირველი პერიოდი ლიდერობდა, პირველ 2-წუთიან შესვენებაზე კი 2 ქულით – 25:23 იგებდა. მასპინძლებმა მეორე პერიოდიდან თამაში გამოასწორეს და ჯერ ლიდერობა მოიპოვეს, შემდეგ კი, მეთოდურად ზრდიდნენ. ისევე როგორც სხვა ძლეული მეტოქეები, მასპინძლებმა სტუმარი ამჯერადაც შორი სროლებით დაჩაგრეს. რუსთაველებმა 13 სამქულიანი ჩააგდეს, მარნეულელებმა კი – მხოლოდ 4.

რუსთაველებს 20 ქულით, 9 მოხსნითა და 9 პასით ადამ ბლეიზეკმა ულიდერა, ხოლო 22 ქულით ბრაიან ბერნარდი გამოირჩა. 20 ქულითა და 14 მოხსნით დაასრულა შეხვედრა ტაირელ ნელსონმა. რეზო ჩაჩანიძემ გამარჯვებულებს 12 ქულა შესძინა. დელტაში 25 ქულით საუკეთესო იყო დეანდრე რეი, ხოლო საბა ლობჯანიძემ თავი 18 ქულას, 7 მოხსნასა და 5 პასს მოუყარა.

**<u>დინამო-ოლიმპი 83:71</u>**

**(27:17, 23:17, 10:20, 23:17)**

სუპერლიგის ჩემპიონმა დინამომ ტრავმებით დასუსტებულ ოლიმპს 83:71 სძლია, თუმცა გამარჯვება იოლად მოიპოვაო, ვერ ვიტყვით. ოლიმპელებმა იბრძოლეს და, მართალია, მთელი შეხვედრის მანძილზე მდევრის როლში იყვნენ, მეტოქეს ბევრით არ რჩებოდნენ და შანსს ინარჩუნებდნენ.

პირველი ტაიმის 16 ქულით წაგების შემდეგ ოლიმპი მაინც არ გატყდა და მესამე პერიოდში თამაში გამოასწორა. შედეგად, ათწუთეული 10 ქულით – 20:10 მოიგო და ბოლო მეოთხედის წინ მხოლოდ 6 ქულით ჩამორჩებოდა. დინამოს აკლდა ახალწვეული რეივენ ლი, თუმცა არსებული რესურსითაც შეძლო გამარჯვებამდე მისვლა. დასკვნით წუთებში დინამოელებმა შედეგიანად ითამაშეს და საბოლოოდ ნახევარფინალის საგზურიც მოიპოვეს.

გამარჯვებულებს 18 ქულით კაელ ტურპინმა ულიდერა. 14 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა ლაველ ბოიდმა, ხიკი 13-13 – ილია ლონდარიძემ და მიხეილ ბერიშვილმა. ოლიმპში 25 ქულით საუკეთესო იყო ჰამედ ლი. 10 ქულით დაასრულა შეხვედრა მერაბ ბოქოლიშვილმა.

**<u>კაქტუსი-მგზავრები 93:79</u>**

**(25:16, 15:22, 22:23, 31:18)**

ამ მატჩში შედარებით მეტი დაძაბულობა იყო – მგზავრებმა ბოლო პერიოდამდე ებრძოლეს მეტოქეს და წინ არ უშვებდნენ, თუმცა დასკვნით ეპიზოდში კაქტუსელებმა იძალეს და გამარჯვებამდე იოლად მივიდნენ.

კაქტუსელებში 27 ქულით სიჯეი ჯონსონი გამოირჩა. 18 ქულა და 8 მოხსნა ჰქონდა დავით ლომიძეს, ხოლო დეანდრე პარკსმა მატჩი 17 ქულით დაასრულა. მგზავრებში 16 ქულით ბომბარდირი გახდა კახა ჯინჭარაძე, ხოლო ადრიან ბოუისა და ტეილორ სტეფორდის ანგარიშზე 15-15 ქულა დაგროვდა.

თასის გათამაშების მეოთხე ნახევარფინალისტი ქუთაისში გამოვლინდება, სადაც იმერული კლუბი ბოლო მეოთხედფინალში ბათუმს უმასპინძლებს.

რაც შეეხება ნახევარფინალურ შეხვედრებს, ისინი 20 და 21 მარტს გაიმართება.

# ლაგოდეხში ახალი საფეხბურთო აკადემია გაიხსნა

ლაგოდეხში სფფ-აკადემიის კახეთის რეგიონის ფილიალი გაიხსნა, რომელსაც ნოდარ ახალკაცის სახელი მიენიჭა და მთლიანად რეგიონს მოიცავს. აკადემიაში 2003-04 წელს დაბადებული 40 ბავშვი უკვე ვარჯიშობს.

გახსნის ცერემონიას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, ფეხბურთის ფედერაციისა და ადგილობრივი მთავრობის ოფიციალური პირები, მედიის წარმომადგენლები და სხვა სტუმრები დაესწრნენ.




გახსნის ცერემონიაზე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ლევან კობიაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა პროცესში ჩართულ ყველა ადამიანს და საქართველოს მთავრობას მხარდაჭერისთვის, პროექტის მიზნებზე ისაუბრა და ახალგაზრდა ფეხბურთელებს წარმატებები უსურვა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა 2018 წელს დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ წინსვლაზე ისაუბრა, რაც ქვეყანაში ფეხბურთის მმართველი ორგანოს პრიორიტეტს წარმოადგენს.

**ლევან კობიაშვილი:**

– ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია – ნოდარ ახალკაცის სახელობის სფფ აკადემია გაიხსნა. ლაგოდეხის ბაზაზე ახალი საფარი დაიგო, დამონტაჟდა ახალი განათება და შენობას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. ეს ყველაფერი კი საშუალებას გვაძლევს აკადემიამ სრულყოფილად იმუშაოს. ამ აკადემიაში 2 გუნდი იქნება, რომლებიც აქ იცხოვრებენ, ივარჯიშებენ და, რა თქმა უნდა, განათლებას მიიღებენ. განათლება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. აღსანიშნავია, რომ ლაგოდეხის აკადემია სრულიად კახეთის რეგიონს მოიცავს. მთელი ქვეყნის მასშტაბით აღნიშნული აკადემია რიგით მესამეა. ერთი ცენტრალური ფილიალი თბილისშია, მეორე – დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ზუგდიდში, მესამე კი კახეთში გავხსენით. ეს წინსვლა საშუალებას გვაძლევს, რომ რაც შეიძლება ბევრი ბავშვი ჩაერთოს ფეხბურთში და ამით ხელი შევუწყოთ ქართული ფეხბურთის განვითარებას.

რეგიონისათვის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისათვის აკადემიის მნიშვნელობაზე ისაუბრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ. მან ფეხბურთის ფედერაციას გაწეული საქმიანობისათვის მადლობა გადაუხადა და ლაგოდეხში აკადემიის გახსნა დადებითად შეაფასა. ირაკლი კობახიძემ, ასევე აღნიშნა, რომ ფეხბურთისა და ზოგადად სპორტის განვითარება და მასში ჩართული ადამიანების ზრდა, დადებით გავლენას იქონიებს ჯანსაღი საზოგადოების ფორმირებაზე.

ცერემონიის დასრულების შემდეგ სტუმრებმა და მედიის წარმომადგენლები ტექნიკური ცენტრი დაათვალიერეს და აკადემიის მოთამაშეებს უშუალო გარემოში გაესაუბრნენ.

გაიმართა საფეხბურთო მატჩი, სადაც ფეხბურთის ფედერაციის გუნდმა 7:6 დაამარცხა მედიის წარმომადგენლები. სფფ-ს გუნდში ითამაშეს ლევან კობიაშვილმა, ალექსანდრე იაშვილმა, ალექსანდრე ამისულაშვილმა და სხვებმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ აღნიშნული ტექნიკური ცენტრის სრული რეკონსტრუქციისა და საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაახლოებით მილიონი ლარის ინვესტიცია ჩადო. სფფ-ის სრული დაფინანსებით ლაგოდეხის ბაზაზე სტადიონის საფუძვლის მოწყობის სამუშაოები ჩატარდა და დაიგო ახალი ხელოვნურსაფარიანი მოედანი. ამასთანავე, სტადიონი აღიჭურვა 300-ლუქსიანი განათების სისტემით. სათამაშო მოედნის მოწყობასთან ერთად, ბაზის ცენტრალურ შენობას კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარდა – სრულად შეიცვალა კონდიცირების სისტემა და განახლდა ელექტროენერგიის წყარო.

ბაზის საცხოვრებელი კომპლექსი სულ 110 ადამიანზეა გათვლილი.

ნოდარ ახალკაცის სახელობის სფფ აკადემიის მთავარ მწვრთნელად გიორგი ნუსხელიძე იმუშავებს, მისი დამხმარეები კი ადგილობრივი სპეციალისტები – ალექსანდრე ჯაფარიძე, შიო შეყელაშვილი და ვახტანგ თანდაშვილი იქნებიან.

ლაგოდეხის განახლებულ ბაზაზე მომავალში სრულფასოვანი შეკრების გავლა საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებს შეეძლებათ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## იაპონელმა პენსიონერმა მგზავრი დანით დაჭრა

ხანდაზმულმა იაპონელმა მეტროში დანით დაჭრა მგზავრი, რომელიც ხანდაზმულებისა და ინვალიდებისთვის განკუთვნილ ადგილზე იჯდა.

პოლიციის მონაცემებით, მეტროში 62 წლის მოტოკაძუ კოიძუმი 32 წლის მამაკაცს ეჩხუბა, რომელიც მასთან ერთად მგზავრობდა. ისინი ერთად გამოვიდნენ მატარებლის ვაგონიდან და კამათი ბაქანზე გააგრძელეს. როდესაც ახალგაზრდა მამაკაცი მეტროს სადგურის გასასვლელისკენ გაემართა, კოიძუმიმ მას მუცელში დანა ჩაარტყა, რის შემდეგაც ხალხში გაუჩინარდა.

მეორე დღეს ხანდაზმული იაპონელი თავად გამოცხადდა პოლიციაში. მისი თქმით, ის ხშირად ხვდებოდა დაშავებულს მეტროში და ხედავდა, რომ ის ხშირად იკავებდა ხანდაზმულებისა და ინვალიდებისთვის განკუთვნილ ადგილს. პენსიონერი ამტკიცებს, რომ შეეცადა ახალგაზრდის გონს მოგებას, მაგრამ მან მისი ნათქვამი არაფრად ჩააგდო. ასევე, მისი თქმით, ის სანამ მგზავრს თავს დაესხმებოდა, რამდენიმე დღე ატარებდა დანას ხილის გასაფცქვნელად.



მამაკაცი, რომელიც პენსიონერის თავდასხმის ობიექტად იქცა, საავადმყოფოში მოხვდა. მან პოლიციას აცნობა, რომ მოსვენებას არ აძლევდა უცნობი ადამიანი და მის ჩხუბში გამოწვევას ცდილობდა, ბოლოს კი დანით დაჭრა.

## დუბაიში შოკოლადის პატარძალი გამოაცხვეს და შეჭამეს

დუბაის გამოფენის დამთვალიერებლებმა შეჭამეს პატარძლის ფორმის ტორტი, რომელიც დიზაინერმა დები ვინგჰემმა შექმნა.

ტორტი წარმოადგენდა საქორწინო კაბაში გამოწყობილი ქალის ქანდაკებას. მისი სიმაღლე 180 სანტიმეტრი იყო, ხოლო წონა – 120 კილოგრამი. მის გამოსატანად ექვსი მტვირთავის გამოყენება გახდა საჭირო.



„პატარძლის“ დასამზადებლად 25 კილოგრამი შოკოლადი იქნა გამოყენებული, ხოლო კაბა 50 კილოგრამი საკონდიტრო მასტიკისგან იქნა დამზადებული. მას ამშვენებდა ხუთი ათასი მასტიკისგან დამზადებული ყვავილები და ათი ათასი ცალი საჭმელი მარგალიტი. გარდა ამისა, სამოსსა და თავსაბურში ჩამალული იყო ხუთი ცალი ნამდვილი მარგალიტი. თითოეულის ღირებულება 200 ათას დოლარს შეადგენდა.

## უზარმაზარმა ტახმა ჰონგკონგელი ბავშვები შეაშინა

ჰონგ კონგში უზარმაზარმა ტახმა დაარბია ნაგვის კონტეინერი, რომელიც ადგილობრივი დაწყებითი სკოლიდან რამდენიმე მეტრში მდებარეობდა.



ადგილობრივებმა ტახს პიგზილა დაარქვეს (პიგ – ღორი და გოძილა, სახელი ამავე სახელწოდების ფილმიდან). ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო შეშინებული ბავშვების მშობლებმა გადაიღეს.

უზარმაზარ ტახს თან რამდენიმე მომცრო ტანის ტახიც ახლდა, შესაძლოა – მისი ნაშიერები. რომელი სქესის იყო ცხოველი, უცნობია. ჟურნალისტების ნაწილმა ის, მისი ზომებიდან გამომდინარე, მამალ ტახად მიიჩნია, ნაწილმა კი – დედლად.

აღნიშნულმა ვიდეომ სოციალურ ქსელებში 300 ათასზე მეტი ნახვა მიიღო, კომენტატორებმა კი შეშფოთება გამოთქვეს ბავშვების უსაფრთხოების გამო და აღნიშნეს, რომ გარეულ ცხოველებს, ცუდი ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, საკვების მოპოვება ასე უწევთ.

## ბრიტანელმა ქალმა წონაში „საშინელი სექსის“ გამო დაიკლო

ბრიტანული ტელეშოუს მონაწილე ქალმა წონაში 50 კილოგრამი „საშინელი სექსის“ გამო დაიკლო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.



ბონი სტეინერი აღიარებს, რომ ოთხი წლის წინ, მშობიარობის შემდეგ, ძალიან მოიმატა წონაში.

– არასოდეს ვწუხდი საკუთარი წონის გამო და ვფიქრობდი, რომ რასაც მოვისურვებდი, ყველაფერს გავაკეთებდი. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, შემდეგ კი გავსივდი, ჭამისგან თავის შეკავებას ველარ ვახერხებდი, – განაცხადა 33 წლის ბრიტანელმა ქალბატონმა.

წონა ქალს საყვარელი ჰობით გართობაში ხელს უშლიდა. მის ცხენ ათოსს 105- კილოგრამიანი ქალის ტარება არ შეეძლო, ამასთან, მკვეთრად დაუქვეითდა თვითშეფასება და სექსუალურ ცხოვრებაშიც პრობლემები დაეწყო, რომელსაც თავად ქალმა „საშინელება“ უწოდა.

საბოლოოდ სტეინერმა წონაში 50 კილოგრამი დაიკლო და ტელეშოუში მონაწილეობაზე ჩაეწერა, რომელშიც მონაწილეები თანამეწყვილეს ირჩევენ. ქალის თქმით, ის 12 წელია, პაემანზე არ ყოფილა, თუმცა ახლა გრძნობს, რომ საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნდა და ღირსეული პარტნიორის მოძებნას შეძლებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

### სპორტი

## წიკლაური 46-ე ადგილზე ადგილზე გავიდა. ყვითელაშვილი ოლიმპიადას ხვალ იწყებს

სამდღიანი ლოდინის შემდეგ პიონჩანგში მიმდინარე ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ქართველი სამთო-მოთხილამურე ნინო წიკლაური ჩაება და გიგანტურ სლალომში 46-ე შედეგი აჩვენა. შეჯიბრებაში სულ 74 სპორტსმენი მონაწილეობდა.

ჩვენებურმა 7 სპორტსმენზე უკეთესი დრო აჩვენა, ხოლო 21-მა მოთხილამურემ დისტანციის დასრულება ვერ მოახერხა.

ნინომ პირველ ცდაზე დისტანცია 1:20.02 წუთში დაფარა და 51-ე იყო, მე-2 ცდისას კი უკეთესად გამოიყურებოდა (1:16.91) და 46-ეზე გადაინაცვლა.

დღეს წიკლაური პიონგჩანგის ოლიმპიადაზე ძალებს კიდევ ერთხელ მოსინჯავს. სლალომში ერთმანეთს 83 სამთომოთხილამურე შეეჯიბრება, ქართველი სპორტსმენი კი მე-60 ნომრად გამოვა.



ამასობაში მოახლოვდა ვაჟ მოციგურავეთა შეჯიბრება და ხვალ ოლიმპიური ჯილდოებისთვის ბრძოლაში მსოფლიოს 30 უძლიერესი მოციგურავე ჩაებმება. მათ შორის იქნება საქართველოს დელეგაციის მედროშე, 22 წლის მორის ყვითელაშვილი. მას კენჭისყრით სასტარტო ჯგუფი და მე-11 ნომერი ერგო. განთესილი მოციგურავეები სხვა ჯგუფში გამოვლენ. შეჯიბრების პირველ დღეს სპორტსმენები მოკლე პროგრამას წარადგენენ, 17 თებერვალს კი მაყურებელთა წინაშე თავისუფალი პროგრამით წარდგებიან.

ყვითელაშვილი პიონჩანგში თამაშების გახსნის დღეს ჩამოფრინდა იაპონიიდან, სადაც ერთკვირიანი შეკრება გაიარა:

– იაპონიაში ძალიან კარგ პირობებში ვემზადებოდი. იქ კორეის მსგავსი კლიმატური პირობებია, რაც აკლიმატიზაციაში დამეხმარა. პიონჩანგში ცალკე სავარჯიშო არენა გვაქვს გამოყოფილი, ყინულზე ყოველ დღე 45 წუთს ვვარჯიშობ, თან, ფიზიკური ფორმა რომ შევინარჩუნო, ოლიმპიურ სოფელში დავრბივარ კიდეც. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე კი გამოვსულვარ, მაგრამ აქ სულ სხვაგვარი ატმოსფეროა, სხვა მასშტაბებია. ძალიან მინდა, რომ კარგად გამოვიდე და ჩემი ქართველი გულშემატკივრები გავახარო. სხვა უფლება არც მაქვს – მე ხომ პატივი მერგო, გახსნის ცერემონიალზე საქართველოს დროშით გავსულიყავი. ეს ამბავი განსაკუთრებით საამაყოა ჩემთვის. აქ ყველანი ყურადღებით მეპყრობიან – ქართველი ოლიმპიელები, ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები, ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელები და, რა თქმა უნდა, ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი, ქალბატონი მაკა გიორგობიანი. საქართველოდანაც მეხმიანებიან და მაგულიანებენ. მოკლედ, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ასტროპროგნოზი

### 16 თებერვალი



**ვერძი** – ნუ ეცდებით სხვის საქმეებში ჩარევას. საკუთარი პრობლემები მოაგვარეთ. **კურო** – წარმატებული და ნაყოფიერი დღეა. თქვენი გულმოდგინება სათანადოდ დაფასდება. **ტყუპები** – ქალაქიდან გასვლა დღეს რეკომენდებული არ არის. უმჯობესია, თუ საოჯახო საქმეებს მოაწესრიგებთ. **კირჩხიბი** – დღეს ერიდეთ დატვირთვას, როგორც ფიზიკურს, ისე – გონებრივს. დაისვენეთ და ძალა მოიკრიბეთ. **ლომი** – ინტიმურ სფეროში დიდი სიურპრიზი გელით. კეთილისმყოფელი დღეა პროფესიული თვალსაზრისითაც. **ქალწული** – იშრომეთ, ისწავლეთ, ცოდნის არეალი გაიფართოვეთ. სხვა შემთხვევაში წარმატებას ნუ ელით. **სასწორი** – ყურადღებით იყავით, საქმიან ქაღალდებს გადაუმოწმებლად ხელს ნუ მოაწერთ. მოტყუებული დარჩებით. **ღრიანკალი** – მატერიალური მდგომარეობა არასტაბილურია. ვითარების გამოსასწორებლად საკმაო ძალისხმევა გჭირდებათ. **მშვილდოსანი** – იღბლიანი დღეა. ვარსკვლავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობას ამჟღავნებენ. ნუ გადაიღლებით. **თხის რქა** – ფსიქოემოციური მდგომარეობა არამდგრადია. ბაღში მუშაობა, სუფთა ჰაერზე ფეხით სეირნობა დღეს გარგებთ. **მერწყული** – თავს ნურავის მოატყუებინებთ. ნუ იქნებით მიმნდობი და ნუ აჩქარდებით. **თევზები** – იყავით მოწესრიგებული და მშვიდი. მოვლენების დაჩქარება სასურველ შედეგს არ გამოიღებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ქალაქის თავი ჩეხეთში; 2. ქართველი რაგბისტი; 3. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 4. საფრანგეთის ნავსადგური ლა-მანშის სრუტეში; 5. საათის მექანიზმი; 11. ყვითელი ფერის დაბალი ხარისხის შაქარი; 12. ავსტრიელი ექიმი-ფსიქიატრი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი; 14. სქელი მურაბა; 16. ავსტრალიის დედაქალაქი; 17. სანადირო თოფით სასროლი მსხვილი საფანტი; 19. ხრტილოვანი გამონაზარდი მუხლის სახსარში; 21. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ერაყში; 22. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. ჩხუბის, აყალმაყალის გამომწვევი ადამიანი; 7. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 8. კოვბოების შეჯიბრება; 9. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 10. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 13. სპორტული თამაშის არბიტრი; 15. ასფალტზე სასრიალო, გორგოლაჭიანი მოწყობილობა; 18. ძვირფასთვლებიანი ქალის თავსამკაული; 20. სოფელთა სახელწოდება ჩრდილო კავკასიაში; 21. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 23. უმაღლესი სასულიერო პირი მართლმადიდებელ ეკლესიაში; 24. ბრიტანული ყველი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბატერფლაი; 2. „დიუპონი“; 3. შეკელი; 4. მანგო; 6. ფლირტი; 11. გვრინი; 12. აგუერო; 14. ჯინი; 16. პროტონი; 17. ტყიბული; 19. ტროტილი; 21. სიდრი; 22. ფეტვი.

**თარაზულად:** 6. იამანიძე; 7. სტაპელი; 8. გუერა; 9. ორფოლო; 10. ლარგო; 13. ბანჯო; 15. სპირიჩუელი; 18. ლიბრეტო; 20. ყუმი; 21. სუდოკუ; 23. ჰიპერტონია; 24. ლაზერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შამბრიერი; 2. დესპანი; 3. ტონიკი; 4. კობზა; 5. გლორია; 11. კარტიე; 12. „სკონტო“; 14. ჯუთი; 16. რივიერა; 17. კოლხეთი; 19. კოროზია; 21. მასნე; 22. ტაქსა.

**თარაზულად:** 6. ვაპორეტო; 7. პრომილე.; 8. „ზვარე“; 9. პრიზმა; 10. კონკა; 13. ბრიჯი; 15. არმსტრონგი; 18. სელტიკი; 20. ორლი; 21. მოპედი; 23. ბარმაქსიზი; 24. თოხანი.

# გიორგი გაგნიძის ტრიუმფალური გამოსვლა მეტროპოლიტენ ოპერაში

ქართველმა ბარიტონმა **გიორგი გაგნიძემ** მეტროპოლიტენ ოპერაში ორ სპექტაკლში, პიეტრო მასკანის „სოფლის ღირსებასა“ და რუჯერო ლეონკავალოს „ჯამბაზებში“ დიდი წარმატებით იმღერა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველ ოპერის მომღერალს კლასიკური მუსიკის მოყვარული საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა. არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა გიორგი გაგნიძის წარმატებულ გამოსვლას უცხოურმა პრესამაც.

„ახალი თაობა“ ქართველ ბარიტონს ესაუბრა:

– პირველად მეტროპოლიტენის სცენაზე დავდექი ჩემი, ასე რომ ვთქვათ, სავიზიტო ბარათით. ეს არის ჯუზეპე ვერდის ოპერა „რიგოლეტო“. მახსოვს ის დღე, როცა ჩემმა აგენტმა დამირეკა და მკითხა, შემეძლო თუ არა, ჩამენაცვლებინა ერთ-ერთი მომღერალი მეტროპოლიტენ ოპერაში. მე უყოყმანოდ დავთანხმდი, თუმცა მოგვიანებით მქონდა ჯაკომო პუჩინის ოპერა „ტოსკას“ კონტრაქტი. მაშინ სპექტაკლმა მართლა ტრიუმფალურად ჩაიარა, გენერალური მენეჯერი გვერდიდან არ მომცილებია. ეს იყო „რიგოლეტო“ ოტო შენკის დადგმაში 2009 წელს.

***– ელოდით ასეთ ტრიუმფალურ წარმატებას?***

– ოპერაში კავალერია და პაიაცის ახლანდელ ასევე წარმატებულ გამოსვლაში მე ორივე როლი შევასრულე. მასკანისა და ლეონკავალოს მაკ ვიკერის დადგმაში ვასრულებდი ორივე როლს – ალფიოსა და ტონიოს. ეს არის ოპერა, სადაც ბევრ მომღერალს უკვე 100 გამოსვლა დიდი წარმატებით ჰქონდა. ეს არაჩვეულებრივი თეატრია, მსოფლიო სცენა, იქ მომუშავე პერსონალი, თბილი და ყურადღებიანი. იქ, როგორც საკუთარ



თეატრში, თბილისში, ისე ვგრძნობ თავს.

***– რა არის თქვენთვის ყველაზე დიდი ჯილდო?***

– ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდოა მაყურებლის ტაში, ოვაცია, აღფრთოვანება და არა მარტო ჩემთვის, წარმოდგენის შემდეგ ოვაცია! და ამ ოვაციასაც ხომ ვერაფერი შეედრება – ეს არის ის, რასაც ადრენალინი ჰქვია.

***– სად იმღერებთ უახლოეს მომავალში?***

– მადრიდში „აიდაში“ ვიმღერებ ამონასროს, რომში – კავალერია და პაიაცი ალფიო და ტონიო ანიტა რაჭველიშვილთან ერთად, ლა სკალაში „აიდა“ ამონასრო, ბერლინში „ლა ჯოკონდა“ ბარნაბა, სექტემბერში პარიზში „ტრავიატაში“ ჟერმონის პარტიას შევასრულებ.

***– თბილისში როდის შევძლებთ თქვენს მოსმენას?***

– თბილისში მოლაპარაკებებს ვაწარმოებ ბადრი მაისურაძესთან და ვნახოთ, ალბათ რამე უნდა გადავდო, რომ ჩამოსვლა შევძლო. არის ლაპარაკი ჯუზეპე ვერდის ოპერა სიმონ ბოკანეგრაზე, რომელიც არასოდეს დადგმულა ამ სცენაზე და მასში თვითონ სიმონე უნდა ვითამაშო.

# ლადო მესხიშვილს ჩოხოსნები დიდუბის პანთეონში გაიხსენებენ



16 თებერვალს მსახიობისა და რეჟისორის ლადო ალექსი-მესხიშვილის დაბადებიდან 161 წელი სრულდება.

ამ დღეს, ტრადიციულად, უკვე 36-ედ აღნიშნავს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი და მისი ხელმძღვანელი გოგი დოლიძე.

დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ჩოხოსნები რუსთავის ორი საშუალო სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ერთად შეიკრიბებიან და სპეციალურ სტუმართან, მსახიობ ნოდარ მგალობლიშვილთან ერთად ლადო ალექსი-მესხიშვილის შემოქმედებასა და ღვაწლზე ისაუბრებენ.

მსახიობისა და რეჟისორის თეატრალური ცხოვრება რუს სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში მონაწილეობით დაიწყო, რასაც თბილისის ქართულ დრამატულ დასში გაწევრიანება მოჰყვა. ლადო მესხიშვილი რუსულ სცენაზეც გამოდიოდა, ხელმძღვანელობდა თბილისისა და ქუთაისის დრამატულ დასებს.

ლადო მესხიშვილი 63 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს, მისი სახელის უკვდავსაყოფად კი ქუთაისის დრამატულ თეატრს ხელოვანის სახელი მიენიჭა.

# ქართული ფილმის მსოფლიო პრემიერა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართება

ქართველი რეჟისორის თინათინ ყაჯრიშვილის ახალი ფილმის, „ჰორიზონტის“, მსოფლიო პრემიერა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე სექცია „პანორამაში“ 16 თებერვალს გაიმართება.




ბერლინში გამგზავრებამდე შემოქმედებითი ჯგუფი ჟურნალისტებს შეხვდა და ფილმთან დაკავშირებით ისაუბრა. ეროვნულ კინოცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე ფილმის რეჟისორი თინათინ ყაჯრიშვილი, პროდიუსერი ლაშა ხალვაში და მსახიობები გიორგი ბოჭორიშვილი, ია სუხიტაშვილი და ჯანო იზორია ფილმის შესახებ საუბრობდნენ.

ეროვნული კინოცენტრი ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე წელს მეცამეტედ მონაწილეობს. პრესკონფერენციაზე ეროვნული კინოცენტრის საერთაშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დავით ვაშაძემ ბერლინალეს ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების, აქტივობებისა და ყველა იმ სექციის შესახებ ისაუბრა, სადაც ქართული ფილმები და პროექტები იქნება წარმოდგენილი.

# ნოდარ დუმბაძის შვილებმა მამის გამომცემლობა დააფუძნეს



ნოდარ დუმბაძე – „ყველა მოთხრობა“ – ეს არის ახლად დაფუძნებული ნოდარ დუმბაძის გამომცემლობისა და ლიტერატურული სააგენტოს პირველი გამოცემა.

17 თებერვალს მწერლის შვილი, ქეთი დუმბაძე, დაინტერესებულ საზოგადოებას შეხვდება, პირველ ნაშრომს წარუდგენს და ნოდარ დუმბაძის გამომცემლობის გეგმების შესახებ კიდევ ბევრ საინტერესო ამბავს გააჟღერებს.

ქეთევან დუმბაძე, გამომცემლობის დირექტორი:

– ნოდარ დუმბაძის წიგნებს ერთი თავისებურება ახასიათებთ: ისინი ძალიან მალე ცვდებიან, რადგანაც ოჯახის წევრების, ხშირად სხვადასხვა თაობის მიერ რამდენჯერმე გადაკითხვას ვერ უძლებენ. ოჯახში ნოდარ დუმბაძის წიგნები ზედმეტი არასდროს არის.

ეს კრებული სრულიად გამორჩეული გახლავთ, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ წიგნად შეკრული მოთხრობების სრული კრებული არასდროს გამოცემულა, არამედ იმიტომაც, რომ „კუკარაჩას“ დედნის კითხვისას მოულოდნელად ერთი ყველასთვის უცნობი გვერდი აღმოვაჩინეთ, რომლის წაკითხვის საშუალებაც ავტორის შემდეგ ახლა თქვენც მოგეცემათ.

„ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა და ლიტერატურული სააგენტო“ გასულ წელს დაფუძნდა ნოდარ დუმბაძის ფონდის ბაზაზე და მის ძირითად მიზნებს წარმოადგენს არა მხოლოდ ნოდარ დუმბაძის შემოქმედების გამოცემა, არამედ ზოგადად ქართული ლიტერატურის მხარდაჭერა და პოპულარიზაცია. გამომცემლობა აგრეთვე ახორციელებს უცხოენოვანი ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნასა და გამოცემას, მიზნად ისახავს თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესის პოპულარიზაციასა და თანამედროვე ავტორებისათვის ხელშეწყობას როგორც ორიგინალური შემოქმედების, ასევე თარგმანების გამოცემის საქმეში.

გამომცემლობის მიერ წელს დაგეგმილია ორი სერიის გამოცემა – „ქართული მოთხრობა“, რომლის პირველი წიგნი, ნოდარ დუმბაძის მოთხრობები, უკვე გამოიცა და სერია თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმანები „ლიტერატურა საზღვრებს გარეშე“, რომელიც გულისხმობს მაღალმხატვრული ქართულად თარგმნილი ლიტერატურის სერიად გამოცემასა და პოპულარიზაციას. ეს იქნება როგორც პროზა, ასევე – პოეზია. ამ სერიით წარმოდგენილი უცხოელი ავტორების შემოქმედება პირველად გამოიცემა საქართველოში ერთ საგამომცემლო პროექტში გაერთიანებული დამოუკიდებელი წიგნების სახით.

ამ სერიის განსახორციელებლად მზადდება უკრაინელი პოეტისა და მთარგმნელის ნატალია ტროხიმის, ებრაელი პოეტებისა და მთარგმნელების ამირ ორის, დითი რონენისა და ლალი ციპი მიხაელის, შვედი პოეტისა და მთარგმნელის კრისტიან ანდერსონის, ლიტველი პოეტისა და მთარგმნელის ვლადას ბრაზიუნასის საავტორო პოეტური კრებულები. ეს ავტორები გარკვეულწილად დაკავშირებული არიან თანამედროვე ქართველი ავტორების თარგმნისა და პოპულარიზაციის საქმესთან თავიანთ ქვეყნებში. ეს სერია იქნება ორმხრივი თანამშრომლობის გამოხატულებაც და საფუძველიც ქართველი ავტორების სხვადასხვა ენაზე თარგმნის, გამოცემისა და პოპულარიზაციის საქმეში.

# ვალერიან შიუკაშვილი კონცერტის შემდეგ საავადმყოფოში მოხვდა




პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი რუსთაველის თეატრში გამართული კონცერტის შემდეგ საავადმყოფოში მოხვდა.

ვალერიან შიუკაშვილმა, ნიკოლოზ რაჭველმა და ეროვნულმა სიმფონიურმა ორკესტრმა რუსთაველის თეატრში ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო კონცერტი შეასრულეს. საღამო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა- თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს მიეძღვნა. ხელოვანებმა მისი უწმინდესობის აღსაყდრებიდან 40 წლის იუბილე დამსწრე საზოგადოებასთან ერთად იზეიმეს.

კონცერტის ბოლოს ვალერიან შიუკაშვილი შეუძლოდ გახდა. თეატრში მისულმა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ხელოვანი ალადაშვილის სახელობის კლინიკაში გადაიყვანა.

როგორც ვალერიანის მეგობრებმა განაცხადეს, მისი ცუდად გახდომის მიზეზი ემოციური გადაღლა გახდა. ამჟამად ვალერიან შიუკაშვილი თავს უკეთესად გრძნობს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## პროგრამა

**პარასკევი 16 თებერვალი**

**04.30-07.10** სკელეტონი ფინალი. **07.15-08.00** სნოუბორდი. ქალები. კროსი. ფინალი. **08.00** მხ/ფ "**პოუმ რანი**" **10.00-11.40** სათხილამურო რბოლები. ფინალი. **11.40-14.00** ჰოკეი. კაცები. **რუსეთი-სლოვენია**. **14.00-14.30** ოლიმპიური გადაცემა. **14.30** დოკ/ფ "ჩამოთვლილთაგან არც ერთი" **15.00-16.35** ციგურებით სწრაფრბენა. **16.30-17.35** ტრამპლინიდან ხტომა. **17.35.-17.55.** ოლიმპიური გადაცემა. **18.00, 21.00** "მოამბე" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **19.00, 05.00** "რეალური სივრცე" **20.00, 04.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.30** "კვირის ინტერვიუ" - ირაკლი აბსანძე **22.15** მხ/ფ "**ადამიანები შავებში 2**" (ბ.ზონენფელდი) **00.00** ოლიმპიადა

**06.30, 19.03** სერ. "**დასაწყისი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 05.20** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ტყუილი**" **16.00** სერ. "**ფული და სიყვარული**" 3 სერ. **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ფავორიტი**" **23.30** მხ/ფ "**არეულობა**" **01.10** მხ/ფ "**ამერიკული აფერა**" **03.25** მხ/ფ "**შიმშილის თამაშები 3**" **05.50** მხ/ფ "**ელიტარული საზოგადოება**"

**06.00, 18.50** სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.40** სერ. "**დიდი ოჯახი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**მზიანი დღეები**" **22.00** ვანოს შოუ **23.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.30, 00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი

**tv პირველი** **7.50** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **14.00, 16.00** ლევან ჩხაიძის დღის ამბები **15.00, 22.45** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00, 4.00,** მხ/ფ **20.00** პირველები **23.10** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

**08.00** ან/ფ "ატომი" **2-3 09.00** სერ. "**ერთხელ ზღაპარში 4**" **7-8-9** სერ. **12.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი**" 6 სერ. **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 11**" 3 **14.00** მხ/ფ "**დიდი გეცბი**" **17.00** სერ. "**ფარი-2**" **6-7** სერ. **19.00** სერ. "**ჯაშუში 4**" **21.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი**" 7 სერ. **22.30** სერ. "**ვიკინგები-3**" **23.00** მხ/ფ "**ტერნერი და ჰუჩი**" **00.50** მხ/ფ "**ქალღმერთის სიყვარული სავალდებულოა**" **02.40** მხ/ფ "**თოვლის ქალღები**" **04.30** მხ/ფ "**102 დალმატინელი**" **06.20** მხ/ფ "**კოსმოსური ჯემი**"

**იბერია** **08.00** ანიმაცია **08.30** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 00.00** ახალი ამბები **11.20** მე რომ ვიყო **11.30, 02.00** ბიზნესკოდი **13.30, 17.30** ახალი ამბები არჩილ გამზარდიასთან ერთად **14.30** ექიმის საათი **15.00** მოდი გავეყაროთ **16.00, 03.00** ფაბრიკა **18.00** ანონსი **18.05** სერ. "**გაქცეულები**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ-შოუ "თავისუფალი სივრცე " **21.00** სერ. " **სოლი** **23.00** ღია სტუდია **00.30** მხ/ფ **04.00** თავისუფალი სივრცე

**08.00, 00.00, 02.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.10** ანიმაცია **09.10, 13.00** დ/ფ **10.00, 19.10** სერ. "**სინათლის სხივი**" **10.50** "დილის ტალღა" (სიუჟეტები) **11.10, 20.00, 20.35** თოქ-შოუ "ჰეშთეგი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მთავარი" **12.30** "უცხო სუნელი" **14.30** "ევრომაქსი" **15.30** "ეთნოფორი" **16.00** მხ/ფ "**ბაზეტა მიდის ომში**" **18.30** "იმპულსი" **20.30** ანონსი **20.45** "იყო და არა იყო რა" (საბავშვო გადაცემა) **21.45** "მრავალკუთხედი აჭარა" **22.00** მხ/ფ "**გაიღიმეთ**" **00.05** მხ/ფ "**საღამო**"

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "ველური ბუნება" **06.40** მხ/ფ "**ცისკარა**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** საგალობელი **08.30** "განთიადი" **10.10** დ/ფ "ღირსი მამა შიო მღვიმელი" **10.25** მხ/ფ "**ცხელი ზაფხულის სამი დღე**" **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ/ფ "**ცარიელი ბინა**" **13.25** კონცერტი - ნ.რაჭველი და ს. ნაკარიაკოვი **15.05** მხ/ფ "**ძახილიძ**" **16.15** კონცერტი - ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის ვ.კახიძე **18.15** დ/ფ "ცეკვის არისტოკრატი" ვ.გუნაშვილი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.20** "განთიადი" (გამ) **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძილი ნებისა **21.35** დ/ფ "XX საუკუნის წმინდანები" **22.00** სიახლენი **22.20** დროის ჩანაწერები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ/ფ "**ჰოზოი**" **00.10** ისტორიის დღიური **00.30** მხ/ფ "**წისქვილი ქალაქის გარეუბანში**" **01.35** კონცერტი -ჯეიმს ლასტი **03.35** მხ/ფ "**ბრწყინვალე გონება**"

**მაესტრო** **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

16 თებერვლისთვის

- აშშ დოლარი — 2.4592
- ევრო — 3.0691
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4584
- 100 რუსული რუბლი — 4.3332

## ამინდის პროგნოზი 16 თებერვლისთვის








## 8 თებერვლიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

# ვინ მოკლა ინსპექტორი

ქართული დეტექტივი
ტომი 6-7

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

## 13 თებერვლიდან

ჯონ სტაინბეკი

# კონსერვის რიგი




„კონსერვის რიგი" დიდი ამერიკელი მწერლის – ჯონ სტაინბეკის ერთ-ერთი გამორჩეული რომანია. წიგნი 1945 წელს გამოიცა და ერთი ქუჩის ცხოვრებას აღწერს დიდი დეპრესიის პერიოდის კალიფორნიის ქალაქ მონტერეიში.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## ლომებმა ბრაკონიერი შეჭამეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ლომებმა ბრაკონიერობაში ეჭვმიტანილი მამაკაცი დაგლიჯეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.



პოლიციის ინფორმაციით, კრიუგერის ეროვნული პარკის მახლობლად, ბუჩქებში ნაპოვნი იქნა ადამიანის ნარჩენები. ის აღმოაჩინეს შეკვეთილში, პროვინცია ლიმპოპოში, სადაც ბოლო დროს ძალიან იმატა ბრაკონიერობის შემთხვევებმა.

– ყველაფრის მიხედვით, მსხვერპლი არალეგალურად ნადირობდა შეკვეთილში, როდესაც მას თავს დაესხნენ ლომები. მათ ის თითქმის მთლიანად შეჭამეს, დარჩა მხოლოდ თავი და შიგნეულის ნაწილი, – განაცხადა ლიმპოპოს პოლიციის განყოფილების პრეს-მდივანმა მუატსე ნიუპესაიდმა.

ადამიანების ნარჩენების მახლობლად იპოვეს დატენილი თოფი. პოლიცია დაღუპულის ვინაობის დადგენას ცდილობს.

## გამყიდველის შეცდომამ ამერიკელი ქალი გაამდიდრა

ამერიკელი ქალი ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში თან დაატარებდა შეცდომით ნაყიდ ლატარიის ბილეთს.




ვიქტორია ეტრიჯმა შობამდე რამდენიმე დღით ადრე მაღაზიაში ორი დოლარის ორი კუპონი მოითხოვა, თუმცა მას უფრო ძვირადღირებული ხუთი დოლარის ბილეთები მისცეს. როგორც კი გამყიდველმა შეცდომა შენიშნა, მაშინვე მოუბოდიშა და კუპონების შეცვლა და ფულის დაბრუნება შესთავაზა, მაგრამ 52 წლის ეტრიჯმა გადაწყვიტა, ბილეთები დაეტოვებინა. „შესაძლოა, იღბლიანი გამოდგეს", – აღნიშნა მან.

ქალი მართალი აღმოჩნდა: მისმა ერთ-ერთმა ბილეთმა 30 ათასი დოლარი მოიგო. ქალმა აღიარა, რომ, დეკემბრიდან მოყოლებული, ბილეთებს თან დაატარებდა და არ იცოდა, მათთვის რა მოეხერხებინა.

მან გადაწყვიტა, მოგებული ფულით მანქანა იყიდოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



მასწავლებელი აცხადებს:

– ბავშვებო, დღეს საკონტროლო წერა გვაქვს.

– მასწავლებელო, კალკულატორის გამოყენება შეიძლება? – ეკითხება გიგი.

– შეიძლება.

– და გამრავლების ტაბულის?

– ეგეც შეიძლება. ამგვარად, ბავშვებო, ჩაიწერეთ საკონტროლო თემის სათაური: „ქალთა სახეები ვეფხისტყაოსანში".

•••

ახალი რუსი მეუღლესთან ერთად მაღაზიაში ჰალსტუხს არჩევს. ქმარი ეუბნება:

– აი, ეს მწვანე ხომ არ ვიყიდო?

– რას ამბობ, რა მწვანე, გადაირიე?!

– მაშინ ეს ჟოლოსფერი?

– სულ შეიშალე? ის არ იყო საკმარისი, ათი წლის წინ, ჟოლოსფერ კოსტიუმში გამოწყობილმა რომ იქორწინე ჩემზე? ახლა კიდევ ჰალსტუხი?

– და აი ეს ლურჯი?

– ბარემ ცისფერი იყიდე და გეის დაემსგავსები.

ქმარმა უსიტყვოდ ამოიღო პისტოლეტი, ცოლს თავში ესროლა, მერე გაოგნებულ გამყიდველს მიუბრუნდა და ეუბნება:

– ერთი ის შავი ფერის ჰალსტუხი მომეცი.

•••

მამაკაცი საიუველირო მაღაზიაში შევიდა. გამყიდველი გოგონა ეუბნება:

– რა კარგია, რომ ჩვენი მაღაზია აირჩიეთ, დღეს სიყვარულის დღესთან დაკავშირებით ჩვენთან 20-პროცენტიანი ფასდაკლებაა.

– ძალიან კარგი.

– აი, ეს გულის ფორმის ოქროს გულსაბნევი, თქვენ მეგობარ გოგონას ძალიან მოეწონება.

მამაკაცი დაღვრემილი სახით პასუხობს:

– არ მყავს მეგობარი გოგონა.

– წარმოუდგენელია, როგორ, ასეთ წარმოსადეგ, მშვენიერ მამაკაცს მეგობარი გოგონა არ გყავთ?

– ცოლი არ მაძლევს უფლებას...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 15 თებერვლიდან

იაკობ ჯუღაშვილი

# პაპაჩემი სტალინი




წიგნი წარმოადგენს სენსაციურ მემუარებს ბელადის შესახებ. იგი შუქს ჰფენს კრემლისა და ოჯახის ისეთ საიდუმლოებებს, რომლებიც აქამდე უცნობი იყო საზოგადოებისთვის.

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




## 16 თებერვლიდან

შორენა ლებანიძე

# ეს მე ვარ, ფიროსმანი

რომანი დიდი ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის ცხოვრების თავისებურ ლიტერატურულ ვერსიას გვთავაზობს, რომელიც დოკუმენტურ მასალებზე, საარქივო წყაროებსა და თანამედროვეთა მიერ მოთხრობილ რეალურ ცნობებზეა დამყარებული.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი


# საქართველო ასეულში შევიდა



საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ფიფა/კოკა-კოლას მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში 4 პოზიციით დაწინაურდა და 2013 წლის შემდეგ პირველად შევიდა ასეულში. სლოვაკი ვლადიმირ ვაისის გაწვრთნილები 355 ქულით რეიტინგში მე-100 ადგილზე იმყოფებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ნაკრებს იანვარში არ უთამაშია, წინსვლა მაინც განიცადა. ცხადია, ეს სხვა გუნდების ხარჯზე.

რეიტინგში კი კვლავ გერმანიის ნაკრები ლიდერობს. ბრაზილიელები ისევ მეორე ადგილზე არიან, ხოლო მესამე პოზიციაზე პორტუგალიელები იმყოფებიან.

საერთოდაც, ათეულში არანაირი ცვლილება არ არის და მისი ჩამონათვალი ასეთია:

1. გერმანია – 1.602 ქულა; 2. ბრაზილია – 1.483; 3. პორტუგალია – 1.358; 4. არგენტინა – 1.348; 5. ბელგია – 1.325; 6. ესპანეთი – 1.231; 7. პოლონეთი – 1.209; 8. შვეიცარია – 1.190; 9. საფრანგეთი – 1.183; 10. ჩილე – 1.162.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გამომწვარი თაბაშირი; 2. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 3. მხარე ავსტრიაში; 4. მინერალი, ნახევრადძვირფასი ქვა; 5. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში; 11. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 12. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 14. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 16. რძის შაქარი; 17. ირანელი ჯარისკაცი; 19. გერმანელი მიკრობიოლოგი, რომელსაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია მედიცინის დარგში; 21. ქიმიური ელემენტი, მწვავე სუნის მქონე, რუხი-მოწითალო ფერის სითხე; 22. პურეული მცენარე.

**თარაზულად:** 6. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 8. ამერიკელ მწერალ სამუელ კლემენსის ლიტერატურული ფსევდონიმი; 9. თურქული აბანო; 10. პოეტური ქმნილება; 13. ნორვეგიელი კომპოზიტორი; 15. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 18. ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ორგანიზმი; 20. ქართული სამშენებლო კომპანია; 21. ცხვრისბეწვიანი ტყავისგან შეკერილი ქუდი; 23. ორკორპუსიანი გემი; 24. სამონასტრო კომპლექსი ადიგენის რაიონში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

